შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№21(9.931)

27ივნისი-4ივლისი 2020 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

მდინარეში ჩაკარგული ოცნებები...

ა რ მ ო კ ლ ა !

ქალაქის ცა სევდისფრად ჩამუქებულიყო. დახრილი თავები უხმოდ მიასვენებდნენ კუბოს, რომელშიც ახალგაზრდა, 19 წლის ბიჭის ცხედარი იწვა. ძაძებით მოსილი მდუმარე ადამიანების ღაწვებზე ჩამოგორებული ცრემლები და დუმილით ნათქვამი სამძიმარი უფრო ამძიმებდა ტრაგედიას.

გრძნობადაცლილი ახალგაზრდა ქალი უტყვი სახით მიაცილებდა სამგლოვიარო ცერემონიალს. ძაძებით მოსილ რამდენიმე ადამიანს ლასლასით მიჰყავდა.

–შენთან მინდა, შვილო!–ერთადერთი ფრაზა ძლივსგასაგონად ამოთქვა რამდენიმედღიანი სიჩუმის შემდეგ...

* * *

ზაფხულის ერთი ჩვეულებრივი დღე იდგა. მზე მცხუნვარე სხივებს ქალაქს ალმაცერ მზერად უგზავნიდა. მაღალმა ტემპერატურამ ხალხი ცოტათი გაათამამა. ახალი კორონავირუსით დათრგუნულები ზაფხულის სიცხის განეიტრალებას სხვადასხვაგვარად ცდილობდნენ. შეზღუდვების შემდეგ ახალგაზრდებმა ერთად შეკრება გადაწყვიტეს. მიზეზიც გამოინახა. მეგობრის დაბადების დღეზე თავდაპირველად რვანი იყვნენ. ძირითადად კლასელები. ყველას არ უნდოდა საგურამოში ასვლა. ერთად ყოფნის მონატრებულმა სურვილმა თავისი ქნა. ყველაფერი კარგად იქნებოდა, რომ არა რამდენიმე ადამიანის დაუგეგმავი ვიზიტი... ისინი მოგვიანებით ავიდნენ და მეგობრების მყუდროება დაარღვიეს. ზოგმა კონფლიქტის მოგვარება ნაცნობების დახმარებით გადაწყვიტა. ძველბიჭურმა, კრიმინალურმა მენტალიტეტმა თავისი ქნა და საბურთალოელებისა და სანზონელების დავაში საახლობლო ჩაბა. რამდენიმე ახალგაზრდის ჩხუბი სერიოზულ საქმის გარჩევაში გადაიზარდა. ისინი, ვინც ამ დავაში მონაწილეობისგან თავის არიდება გადაწყვიტეს, ადგილს გაეცალნენ... მაგრამ არ დაშოშმინდნენ ბახუსშეპარული და პირველობის სურვილით აღტკინებულები. „გაქცეულებს“ გამოეკიდნენ და საქმის გარჩევა განაგრძეს. შედეგი მძიმე დადგა. პერსპექტიულ ფეხბურთელსა და სამაგალითო ახალგაზრდას სამი დღე ეძებდნენ მდინარეში. ბოლო დრომდე იმ იმედით, რომ ცოცხალს იპოვიდნენ. მეგობრებისა და ოჯახის წევრების იმედი არაგვში ნაპოვნმა ცხედარმა ჩაახშო...

მერამდენედ ჩამოჰკრა უბედურების ზარმა საქართველოში, მერამდენე დედა შეიმოსა ძაძით, მერამდენედ გამწარდნენ ადამიანები...

კრიმინალური მენტალიტეტის დრომოჭმულობას ვერ ხედავს ბევრი. და კვლავ ეწირებიან ახალგაზრდები, ქვეყანა საჯიშე თაობებს კარგავს...

„მერამდენე სისხლიანი დაპირისპირებაა ჩემი თაობის ბიჭებს შორის, უბნებს შორის?!მერამდენედ იწყება “სისულელეზე” რაღაცა პატარა ჩხუბი და მერამდენედ მთავრდება სავალალო შედეგით?!

მერამდენედ ხდება ასეთი რამ და თქვენ ჭკუას ისევ ვერ სწავლობთ, თქვენი ზედმეტი პრინციპების, თქვენი ვითომ ძველბიჭური ყლეობების გამო, გონს მოეგეთ ბიჭო გონს, 19-20 წლისები ვართ, რა ხდება ვაფშე, რატო იმეტებთ ასე ერთმანეთს ვერ ვხვდები, არ დადის ჩემამდე მართლა.

მერამდენედ ილუპებით თქვენი ვითომ “ქურდული მენტალიტეტით”, თქვენი ვითომ ძველი ბიჭობებით და “ძერსკაობებით”.

51 სკოლის მაგალითმა ვერ გასწავლათ ჭკუა, დადიანის ქუჩის ტრაგედიამ ვერ გასწავლათ ჭკუა, ახლა მაინც ისწავლეთ ჭკუა, რომ არ გამოდის ქუჩაში დგომით, ძველბიჭობით და თქვენი მენტალიტეტით კარგი არაფერი.

ჭკუას ვერ სწავლობთ და იწირავთ გიორგისნაირ ბიჭებს, რომელსაც კარგი მომავალი აქვს, რომელსაც შეიძლება დიდებული კარიერა ჰქონოდა და გავებედნიერებინეთ.

არაფერს აზრი არ აქვს, სანამ ქვეყნის მენტალობა არ შეიცვლება და არ გადაგვარდება ე.წ “კაი ბიჭობა” და “ქურდობა“- წერს ლევან ყუფარაძე.

„19 წლის ფეხბურთელი გიორგი შაქარაშვილი რომ დაიღუპა, ძველი, დრომოჭმული, ე.წ ძველბიჭური მენტალიტეტისა და უბნური გარჩევა-ჩხუბის შედეგია.

რაღა დროს უბნური გარჩევებია, რაღა დროს ძველბიჭობაა?კარგი, რა.სად არიან მშობლები, რატომ არ უხსნიან საკუთარ შვილებს, რომ საკუთარი თავის განვითარებაზე იზრუნონ და ჩანგლების თხრასა და გაწელილად ლაპარაკს, “ჩემო დედასა” და მისთანების თქმას არ მიეძალონ.

სხვა დროა. ქურდობა და ძველბიჭობა აღარ დაბრუნდება.ისწავლეთ. სხვასაც ღუპავთ, საკუთარ თავსაც ინადგურებთ ფსევდოღირებულებებით.ეგეთი ბიჭები არ სჭირდება საქართველოს, ვის სადღეგრძელოსაც ფეხზე მდგომნი სვამთ.

საქართველოს განათლებული, გულიანი, კეთილშობილი, მშრომელი ადამიანები სჭირდება“- გოგა ჩანადირი.

გიორგი შაქარაშვილის გარდაცვალების საქმეზე დაკავებულია 17 პირი. დაკავებულებმა ჩაიდინეს ჯგუფური ძალადობის ორგანიზება, მასში მონაწილეობა, თავისუფლების უკანონო აღკვეთა და ორი ან მეტი პირის მიმართ ჯგუფური ძალადობა, - ამის შესახებ შსს-ში გამართულ ბრიფინგზე შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვლადიმერ ბორცვაძემ განაცხადა.

საქმეზე გრძელდება გამოძიება საქართველოს სსკ-ის 225-ე, 143-ე და 126-ე მუხლებით.

***

„არა კაც კლა“- ეს ბიბლიური მცნება ყველას ავიწყდება, როცა საქმეზე „კაი ბიჭობის“ დამტკიცებამდე მიდის. სიცოცხლისა და ადამიანის მნიშვნელობაზე აღარავინ ფიქრობს. შედეგად-უკვე მერამდენედ დაღვრილი უმანკო სისხლი, აცრემლებული დედები და ზეციდან მინდად ჩამოსული არა ნათელი, არამედ ბნელი... სისხლის ლაქები ასფალტსა თუ კედლის სარტყელზე... ამჯერად მდინარის ტალღებს გატანებული ახალგაზრდობა და ფერადი ოცნებები...

ინგა შიოლაშვილი

C M Y K

საზოგადოებრივი აზრი გაეროს კვლევების პირისპირ...

გაეროს მოსახლეობის ფონდის კვლევის მიხედვით, საქართველოში, დაახლოებით, ყოველი მესამე რესპონდენტი მიიჩნევს, რომ მშობლების ქონება (საცხოვრებელი) სრულად, ან მისი უდიდესი ნაწილი ვაჟს უნდა გადაეცეს.რესპონდენტების 62% ფიქრობს, რომ მშობლების ქონება (საცხოვრებელი) თანაბრად უნდა განაწილდეს ვაჟებსა და ქალიშვილებს შორის, 20% ამბობს, რომ მემკვიდრეობა მთლიანად ვაჟს უნდა დარჩეს, ხოლო 15 %-ის აზრით, ბიჭმა მემკვიდრეობის უდიდესი ნაწილი უნდა მიიღოს.UNDP ჩეორგია-ს ანგარიშის მიხედვით, მემკვიდრეობის დიდი წილის ან სრულად მიღების უპირატესობა ვაჟ შვილებს თითქმის თანაბრად მიანიჭეს ქალებმა და კაცებმა -კაცების 38-მა და ქალების 34-მა პროცენტმა.

„ძვირფასი ნივთების, ფულის, ავტომანქანებისა და სხვა მოძრავი ქონებისა და ოჯახის ბიზნესის მემკვიდრეობით გადაცემასთან დაკავშირებით, რესპონდენტების 70-77 პროცენტი მიიჩნევს, რომ ეს თანაბრად უნდა განაწილდეს ვაჟებსა და ქალიშვილებს შორის, ხოლო 16-28 პროცენტის აზრით, ქონება სრულად ან მისი დიდი ნაწილი ვაჟს უნდა გადაეცეს". წერია ანგარიშში.

ცნობისთვის, 2013 წელს რესპონდენტების მხოლოდ 44% მიიჩნევდა, რომ მშობლების ქონება თანაბრად უნდა განაწილებულიყო, ხოლო 2019 წელს ეს მაჩვენებელი 62%-მდე გაიზარდა.

გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ორგანიზაციამ 16 ივნისს წარადგინა კვლევის ანგარიში: "კაცები, ქალები და გენდერული ურთიერთობები საქართველოში: საზოგადოების აღქმა და დამოკიდებულება". მასში ქალთა მიმართ ძალადობაზე, გენდერულ როლებზე, ქალის როლზე, კარიერასა და ბავშვის აღზრდაზე არის საუბარი.

კვლევის ფარგლებში 2019 წელს გამოიკითხა 2408 რესპონდენტი. კვლევისთვის ინსტრუმენტად შეირჩა საერთაშორისო კვლევა "კაცები და გენდერული თანასწორობის" (IMAGES) კითხვარი, რომელიც, თვისობრივი კვლევის დასკვნების საფუძველზე კონტექსტუალურად იყო ადაპტირებული.

კვლევა გამოქვეყნდა შვედეთის მთავრობის მიერ დაფინანსებული გაეროს ერთობლივი პროგრამის "გენდერული თანასწორობისთვის" მხარდაჭერით.

თუ როგორ ფიქრობს ჩვენი მუნიციპალიტეტის საზოგადოება, ვის ანიჭებს უპირატესობას და რატომ, ამას დღეს რესპოდენტებისგან შევიტყობთ, რადგან საერთაშორისო თუ ქვეყნის შიგნით ჩატარებულ კვლევების გარდა ყოველთვის აქტუალურია, კონკრეტულად რას ფიქრობენ იმ ვიწრო პოპულაციაში, რომელშიც გვიწევს ცხოვრება.

რუსუდან ნადირაშვილი, პედაგოგი-: „სამწუხაროდ, ჩვენი წინაპრებიდან მოყოლებული , მოსახლეობის უმეტესი ნაწილი დღესაც ფიქრობს , რომ მშობლების ,,სამკვიდრო",,მემკვიდრეს", ანუ მამრობითი სქესის ჩამომავალს ეკუთვნის, ხოლო ქალს, თუ გათხოვილია მხოლოდ - მზითევი. ასე ჩამოყალიბდა მემკვიდრეობის ინსტიტუტი, ჩვენდა სამწუხაროდ, რაც აბსოლუტურად გაუმართლებელია. მაგრამ, მინდა აღვნიშნო, რომ 21-ე საუკუნის მშობლების უმეტესობა ასე არ ფიქრობს, შვილი შვილია და თუ საჭიროა ქონება ქალსა და ვაჟს შორის თანაბრად უნდა გადანაწილდეს. ჩემი აზრით, ყველა მშობელი ვალდებულია, შვილებს, განურჩევლად სქესისა, მისცეს თუნდაც მცირედი თავშესაფარი. სწორედ ამიტომ არიან ძალადობის მსხვერპლი ქალები ასე მრავლად ჩვენს ქვეყანაში, რომ მათ არ აქვთ მშობლების მხრიდან არც მორალური და არც ეკონომიური მხარდაჭერა, რომ დამოუკიდებლობის განცდა ჰქონდეთ, თავი დააღწიონ ძალადობას და თავშესაფარი მაინც ჰქონდეთ. თუ თავშესაფარი ქალსაც ექნება, ოჯახური ძალადობის არსებობის შემთხვევაში მსხვერპლი აღარ იქნება დამოკიდებული მოძალადეზე და ეს მისი თავისუფლებისთვის ბევრს ნიშნავს. მე, როგორც შვილს, ყოველთვის მაქვს განცდა, რომ სახლში, სადაც გავიზარდე და რომელიც ჩემს მშობლებს ეკუთვნის, მიუხედავად იმისა, რომ დაოჯახებული ვარ, ყოველთვის მოიძებნება ჩემთვის ადგილი. მომავალში, როგორც მშობელი, ვეცდები, რომ შვილებს შორის მემკვიდრეობა ისე გავანაწილო, როგორც მათთვის უკეთესი იქნება და ვალმოხდილი მშობლის სტატუსით მომიხსენიონ. დამეთანხმებით, ყველაზე ცუდი განცდაა, როცა რომელიმე შვილი, დედმამიშვილთან შედარებით სხვაობას გრძნობს, ყურადღებას ეხება ეს, თუ მატერიალურ ქონებას. შვილი ყველა ეტაპზე უნდა გრძნობდეს, რომ თანაბარუფლებიანია.

ბესო გიგოლაშვილი, ფსიქოლოგი: როგორც ცნობილია, მემკვიდრეობის გადაცემა გულისხმობს ორ ძირითად მომენტს: პირველი-მემკვიდრეობის მიღება ოჯახის უშუალო წევრთა მიერ,მეორე-მემკვიდრეობის ანდერძით გადაცემა, როგორც კერძო პირზე, ისე სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზაციაზე.

პირველ შემთხვევაში ოჯახის წევრები მემკვიდრეობას იღებენ როგორც კანონით განსაზღვრული, ისე გარდაცვლილი ოჯახის წევრის სურვილის მიხედვით.

ანდერძით მემკვიდრეობის გადაცემისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ანდერძის შემდგენელის პიროვნულ გადაწყვეტილებას და მის სუბიექტურ დამოკიდებულებას იმ პირის მიმართ, ვისაც უტოვებს მემკვიდრეობას.

ორივე შემთხვევაში, გაუმართლებელი და მორალურად დაუშვებელია ე.წ. „სქესობრივი სეგრეგაცია" და უპირატესობის მინიჭება მამაკაცზე.

თამარ მანუჩარაშვილი, პედაგოგი-თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოშო ვაჟი არის გვარის გამგრძელებელი და რატომღაც ხშირად უსვამენ ხაზს მის უფლებებს (რა თქმა უნდა, მეტ უფლებას ვგულისხმობ) არ მიკვირს, რომ ქონების მატარებლად მათ აღიქვამენ, მაგრამ საბედნიეროდ დროთა განმავლობაში დამოკიდებულება იცვლება და ახლა გოგო შვილებსაც ისეთივე უფლება აქვთ,როგორიც-ვაჟებს. მე ვფიქრობ, რომ იმას რასაც შევქმნი მშობელი, თანაბრად უნდა განაწილდეს შვილებს შორი ბევრი მიზეზის გამო. მეტობანაკლებობა იწვევს უთანხმოებას შვილებს შორის, მშობელსა და შვილს შორის. ამიტომ ნებისმერ სიტუაციაში თანაბარი განაწილება უნდა მოხდეს თითოეული ნივთის, მიწის თუ ა.შ. თუმცა, ყველაზე კარგი მაინც ის დამოკიდებულებაა, როცა სრულწლოვანი შვილი ან შვილები თავად ცდილობენ შექმნან მომავალი და მშობლების ,,ქონებაზე"არ არიან დამოკიდებულნი.

ეკა სეფიაშვილი,პედაგოგი- მშობლების ქონების მესაკუთრე ოდითგანვე, ტრადიციულად უმცროსი ვაჟი იყო. ანუ, მემკვიდრე, რომელიც მშობლების სახლში რჩებოდა თავისი ოჯახით და ევალებოდა მოხუც მშობლებზე ზრუნვა. ეს შეხედულება გაითავისა თანამედროვე სამყარომაც, სამწუხაროდ.

ჩემთვის მიუღებელია ასეთი მიდგომა. მშობელი ყველა შვილისთვის ერთნაირად საყვარელი და პატივსაცემია და არ უნდა არსებობდეს ასეთი არაჯანსაღი განზომილება. უმეტესად ქონების მემკვიდრე არ ამართლებს მასზე დაწესებულ ვალდებულებებს ქონების საფასურად. აქედან გამომდინარე, ეს ჩაცემენტებული ტრადიცია, არანაირ დადებით როლს და სასარგებლოს არ ახდენს როგორც მოხუცებული და უკვე უუანარო მშობლებისთვის, ასევე დედმაშვილურ ურთიერთობებზეც.

როდესაც მშობელი შვილებს პატარაობიდანვე უნერგავს, რომ გოგონები გათხოვდებიან და სხვისი ოჯახის დიასახლისები გახდებიან, უფროსი ძმა/ძმები გავლენ ცალკე და უმცროსი შვილის ოჯახისთვის შრომობენ მხოლოდ რომ სიბერისას პატრონი ყავდეთ, ეს ძალიან დიდი დანაშაულია. ასეთი მშობლები დასაწყისიდანვე წირავენ საკუთარ თავს, ასევე ანგრევენ დედმაშვილურ წრფელ სიყვარულს, რომელიც მერე შვილიშვილებზეც აისახება და ბოლოს სავალალო შედეგებით სრულდება.

თუ მშობელი შვილებს თავიდანვე ასწავლის რეალურ ოჯახურ სიყვარულს, აუხსნის მათ საკუთარ როლს და თავიანთ შესაძლებლობებს სათანადოდ გაუზიარებს ყველა შვილს სიცოცხლეშივე, თვითონაც ტკბილი სიბერე ექნება და შვილებიც უანგაროდ სცემენ პატივს და დააფასებენ და რათქმაუნდა დედმაშვილებს შორისაც უსამართლობის, უპატივისმცემლობის და უთანასწორობის კედელი აღარ აღიმართება. ჭკვიანი და პროგრესულად მოაზროვნე ბევრი მშობელი სწორედ ამ გზით აღწევს ოჯახურ იდილიას და საკუთარი ამაგიც უფასდებათ. სხვა შემთხვევაში, ანგარებით უყვარდებათ და მათი ნაწვალები და დაგროვილის ქონების ხელში ჩაგდების შემდეგ საცოდავად,მშიერ-მწყურვალები რჩებიან. თუმცა გამონაკლისი შემთხვევებიცაა, ბედნიერი დასასრულით..

მაკა შარმაზანაშვილი, იურისტი, ორი შვილის დედა-საზოგადოებაში ქალის მდგომარეობა ყოველთვის იყო განსჯის საგანი. არსებობდა განსხვავებული აზრი ქალის დანიშნულებაზე ოჯახში თუ საზოგოგადოებაში. მოკლებული იყო ყოველგვარ საშუალებას სრულად გამოევლინა თავისი ინტელექტი. არსებობს ტრადიცია, რომ მშობლების მთელი ქონება უმცროს ვაჟს უნდა დარჩეს, ხოლო დაოჯახებულ ქალიშვილს კი წილის გარეშე ტოვებენ. აღსანიშნავია, რომ კანონის წინაშე ყველა შვილი თანასწორია, განურჩევლად სქესისა თუ ასაკისა. მე როგორც მშობელს მიმაჩნია, რომ მშობლების ქონება ყველა შვილზე თანაბრად უნდა გადანაწილდეს.

ნელი გოგეჯიშვილი, აიპ „ფიროსმანის" მენეჯერი-ეს ძალიან აქტუალური საკითხია, იმდენად, რომ , ვფიქრობ, ერთხელ საინტერესო დისკუსია გავმართოთ ამ თემაზე, კარგი იქნება. ამაზე ბევრი მაქვს ნაფიქრი და არ დგას ასე მარტივად ეს საკითხი, როგორც წარმოგვიდგენია. ქართულ რეალობაში მშობლების მიერ შვილებითვის ქონების გადანაწილება ხშირად არის სადავო საკითხი. გავრცელებული პრაქტიკით, მშობლები საკუთარ ქონებას უმცროს ვაჟს უტოვებენ, ან თუ ქალ-ვაჟი ჰყავთ - უპირატესად ვაჟს, იშვიათად ხდება, როცა მათი ქონება თანაბრად ნაწილდება თითოეულ შვილზე. დღეს ყველამ კარგად ვიცით, რომ ქონების გადაცემისას კანონით არანაირი უპირატესობით არ სარგებლობს არც უფროსი შვილი, არც უმცროსი და არც ბიჭი შვილი. ეს დამოკიდებულია მშობლის ნებაზე. მშობლებიდან შვილებზე ქონების გადაცემის ვალდებულება არ არსებობს. ერთადერთი შემთხვევა ეს არის, როცა მშობელი ხდება მამკვიდრებელი და შვილებს, როგორც მემკვიდრეებს გადაეცემათ ქონება , როცა მშობელი გარდაიცვლება. ტრადიციას ქონების უმცროს ვაჟზე გადაცემის თაობაზე, (რომელიც უძველესი დროიდან მოდის), კანონი სულ სხვაგვარად უყურებს: კანონის წინაშე ყველა შვილი თანასწორია, განურჩევლად სქესისა და ასაკისა. მოხუცი მშობლის მოვლა-პატრონობა ევალება იმ შვილს, რომელიც მშობლის სახლში ცხოვრობს და იმასაც, ვინც მასთან არ ცხოვრობს. ჩემს მშობლებს ხუთი შვილი ვყავდით, ოთხი ქალიშვილი და ერთი ვაჟი. მიუხედავად იმისა, რომ მათი უძრავ-მოძრავი ქონება ჩვენს უმცროსს ძმას დარჩა, ერთი წუთითაც არ ვფიქრობ, რომ მას რაიმე ჩვენზე მეტი შეხვდა. ჩვენმა მშობლებმა ჩვენს განათლებაში ჩადეს მთელი ქონება, რაც ებადათ. ჩემი დედ-მამა როდესაც მოხუცდნენ და უმწეონი გახდნენ, მათზე ხომ ძირითადად ჩვენი ძმა ზრუნავდა? მართალია, ჩვენც გვერდში ვედექით, მაგრამ ძირითადი მორალური თუ ფიზიკური პასუხისმგებლობა მასზე იყო და რაც ყველაზე მთავარია, მშობლებმა იმდენი სიყვარული და ურთიერთპატივისცემა ჩაგვინერგეს ერთმანეთის მიმართ, რომ დღემდე მათ მაგალითზე აღვზარდე შვილებიც. როდესაც ჩემი მეუღლე გარდაიცვალა და გადავწყვიტე, შვილებისთვის ქონების გაყოფის საკითხი დღის წესრიგში დამეყენებინა, ისე რომ, არც ვაჟი და არც ქალიშვილი უკმაყოფილოები არ დამრჩენოდნენ, ამ პროცესში მივხვდი, მათაც როგორ უყვართ ერთმანეთი და როგორ დგანანან ყოველგვარ მატერიალურ ფასეულობებზე მაღლა. რასაც ვაძლევდი ერთს, ეს მე არა, დათოს მიეცი , დედაო, ან პირიქით, დათო მეუბნებოდა, ნინოს მიეცი ეს ბინაო... დღემდე სიამაყით მავსებს მათი ასეთი ურთიერთდამოკიდებულება და ყოველთვის ვფიქრობ, რომ ეს დამოკიდებულია აღზრდაზე. თუმცა, ვაჟიშვილის თემა ნამდვილად სამსჯელოა, მითუმეტეს, თუ მას რჩება მოხუცი მშობლები მოსავლელად, მაგრამ, ქალიც არ უნდა დაზარალდეს და არ დარჩეს მოძალადე ქმრის ხელში, მხოლოდ იმიტომ, რომ წასასვლელი არსად აქვს....

დასასრულ, გამოვთქვამ ჩემს აზრს ამ თემაზე და ვიტყვი, რომ ოდესღაც პატრიარქატი გარკვეული მიზეზების გამო ჩამოყალიბდა. მისი ერთ-ერთი მთავარი მიზანი ერის გამრავლება იყო. ის, რომ ვაჟმა ოჯახი შექმნას და ერი გამრავლდეს, ამისთვის მას მყარი საფუძველი სჭირდება, მათ შორის მატერიალური. მცირე ერები ოჯახის ინსტიტუტმა გადაარჩინა გადაშენებას. მაგრამ, როდესაც ვაჟს შენი ქონებით უპირატესობას ანიჭებ და ქალიშვილს ხელმოცარულს ტოვებ, ეს იმას ნიშნავს, რომ მას, ოჯახის დანგრევისას ღია ცის ქვეშ დატოვებისთვის წირავ. არც ის მგონია მართებული, თანაბრად გადანაწილებული უძრავ-მოძრავი ქონების პიროგებში მოხუც მშობლებზე პასუხისმგებლობა მხოლოდ მათთან ერთად მცხოვრებმა შვილმა აიღოს და დანარჩენები განზე გადგნენ.მოკლედ, საკითხი ძალიან ინდივიდუალური და საკამათოა, რომელიც ყველა შემთხვევაში"ჰეფი ენდით" უნდა დამთავრდეს. მშობლებმა თავიდანვე უნდა იზრუნონ იმაზე, რომ არასოდეს მოხდეს დედმამიშვილებში იმ მატერიალურ ფასეულობებზე დავა, რომელიც ახლოსაც ვერ მივა სულიერ ღირებულებებთან და იმ ურთიერთობების გაფუჭებასთან, რასაც დედმამიშვილური სიყვარული ჰქვია!

მოამზადა
ელზა ხარაშვილმა

ინფრასტრუქტურული სამუშაოები გრძელდება

კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილემ გივი მეტრეველმა, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის, მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და მერის მოადგილე დავით ფხოველიშვილმა რეგიონული პროექტების სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში დასრულებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები დაათვალიერეს.

ხელისუფლების წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში ადგილობრივ მოსახლეობასაც შეხვდნენ და სამშენებლო სამუშაოების შესახებ გაესაუბრნენ.

ჩვენს მუნიციპალიტეტში ამ ეტაპისთვის 12 ინფრასტრუქტურული პროექტი მიმდინარეობს, ზემო ქედში ე.წ. გერმანელების უბნის გზის სრული რეაბილიტაცია კი უკვე დასრულდა. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურის მშენებლობა წლის ბოლომდე მასშტაბებს კიდევვ უფრო შეიძენს.

40 მილიონი ყურძნის სუბსიდირებისთვის

სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა პარლამენტში განაცხადა, რომ ხელისუფლება რთველის პერიოდში არც ამ ჯერზე მიატოვებს მოსახლეობას. მისი თქმით, წელს გათვალისწინებულია დაახლოებით, 40 მილიონი ლარის ოდენობის სუბსიდია, რომელიც რქაწითელის ჯიშის ყურძნისთვის იქნება განკუთვნილი.

„სახელმწიფოს მაღალი სოციალური პასუხისმგებლობა გააჩნია. წელს გათვალისწინებულია, დაახლოებით, 40 მილიონი ლარის ოდენობის სუბსიდია. პირდაპირი სუბსიდია რქაწითელის ჯიშის ყურძნისთვის იქნება განკუთვნილი, ვინაიდან ჭარბი სწორედ რქაწითელის ჯიშის ყურძენია და ძირითადად პრობლემები სწორედ ამ ჯიშის ყურძნის ჩაბარებასთან არის დაკავშირებული. ექსპორტის თითქმის 80%-მდე, 70%-ზე მეტი, წითელყურძნიანი ჯიშისგან წარმოებული წითელი ღვინოებია, მხოლოდ 20-25%-ია თეთრი ღვინოები.

მომავალ კვირას მთავრობა მიიღებს დადგენილებას რთველის ღონისძიების ხელშეწყობის შესახებ. ეს იქნება მკაფიოდ გაწერილი პირობები, რომელიც შეჯერებული და დარგთან შეთანხმებულია. ეს არის ის მაქსიმუმი, რაც არსებული ფინანსური შესაძლებლობებით გაკეთდა მოსახლეობისთვის. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ არც ერთი კილოგრამი ყურძენი, ისევე როგორც წინა წლებში, ჩაუბარებელი არ დარჩება. სახელმწიფო საწარმოს რესურსები იქნება სრულად გამოყენებული იმისთვის, რონ ის ჭარბი მოსავალი, რომელსაც კერძო სექტორი ვერ შეიძენს, დაბინავდეს“, - განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

„უნდა იფრინო, როგორც პეპელამ და უკბინო, როგორც კრაზანამ“...



გახსოვთ ალბათ, პირველი ქართველი მოკრივე გოგონა სწორედ დედოფლისწყაროდან გახლდათ. ელენე გოლაშვილი საერთაშორისო ასპარეზზე პირველი იყო, ვინც მწვერვალების დაპყრობა მოახერხა და „სუსტი სქესის“ არაერთ წარმომადგენელს მისცა სტიმული. მას შემდეგ თამაზ ყარაგვეზაშვილთან სპორტულ დარბაზში გოგონების სიმრავლე ყოველთვის იყო. ამჯერადაც ერთ-ერთ წარმატებულ გოგონაზე გიამბოთ.

თეონა ფიროსმანაშვილი - საქართველოს ორგზის ჩემპიონი 2016-2019 წლებში საერთაშორისო ჩემპიონატში ბაქოში, 2017 წელს პირველი ადგილი და ოქროს მედალი ბათუმში, შავი ზღვის თასი, პირველი ადგილი, ოქროს მედალი და თასი. საქართველოში ჩატარებული მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული პროფესიონალური კრივის სარეიტინგო ბრძოლების გამარჯვებული.

* * *

თეონა ფიროსმანაშვილი: ***„ბავშვობიდან ხატვაზეც დავდიოდი, კალათბურთზეც. არასოდეს არ დავინტერესებულვარ, არ მიფიქრია კრივზე. სრულიად შემთხვევით მოვხვდი თამაზ ყარაგვეზაშვილთან. მან შენიშნა, რომ დარბაზში ბიჭებთან ერთად ერთი გოგონა მარტო თამაშობდა, რაც ძალიან გაუკვირდა. შემომთავაზა, რომ მევარჯიშა, რადგან ჩემში გარკვეულ მონაცემებს ხედავდა. ცხადია, დავუჯერე, რადგან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე და ძალიან საინტერესო ადამიანი აღმოჩნდა. მას შეუძლია სხვა კუთხით დაგანახოს სპორტი, რომ ეს მხოლოდ მუშტი-კრივი არ არის და ეს არის ხელოვნება. მართლა საოცარი უნარები აქვს და ძალიან ვაფასებ.***

– პირველი ნაბიჯები რთული არ იყო?

– გულწრფელად გითხრათ, თავიდან მართლა გამიჭირდა. არ გამომდიოდა, ვიძაბებოდი, ყველა მე მიყურებდა და დისკომფორტს ვგრძნობდი. მალე დავკომპლექსდი და ვარჯიში მივატოვე. რამდენიმე თვის განმავლობაში აღარ მივლია. თამაზი მასწავლებელი კი მირეკავდა და სულ მსაყვედურობდა. ისევ დავუჯერე, რადგან დიდი გამოცდილება აქვს და იმედი ჰქონდა, რომ შევძლებდი. დავბრუნდი და ვარჯიში განვაახლე, ვცდილობდი აღარ გამეცდინა. სამ თვეში თბილისში წავედი და საქართველოს ჩემპიონატზე მივიღე მონაწილეობა. მახსოვს, საკმაოდ გამოცდილი მეტოქე იყო. შიში მქონდა და მწვრთნელმა სათანადოდ შემამზადა. მისი სიტყვები სულ ჩამესმოდა: „უნდა იფრინო, როგორც პეპელამ და უკბინო, როგორც კრაზანამ“. დაძაბული ბრძოლა იყო, მაგრამ იმედს მაძლევდა, რომ მასწავლებელი კუთხეში მედგა და ემოციურად მამხნევებდა. ამან შედეგი გამოიღო - გამარჯვება მოვიპოვე. პირველი წარმატებული ნაბიჯი დიდი სტიმული აღმოჩნდა ჩემთვის, საოცარი რწმენა შემმატა. ბუნებრივია, უფრო მეტი შემართებით განვაგრძე ვარჯიში. ბიჭებთან ერთად მარტო ვვარჯიშობდი. კიკბოქსინგში სადაც კი გავედი, ყველა შეჯიბრი მოვიგე, არცერთი წაგება არ მქონია. მოგეხსენებათ, კიკბოქსინგში გოგონები ცოტაა, ამ მიზეზით მეტოქის მოძებნა რთულია. შემდეგ გადავწყვიტე, პროფესიონალურ კრივში მეცადა ბედი. საზღვარგარეთის ჩემპიონებში მონაწილეობის უფლება რომ მიმეღო, ამისათვის საჭირო იყო საქართველოში ამემაღლებინა რეიტინგი და დავწინაურებულიყავი. 48 კილოგრამ წონით კატეგორიაში 4 ბრძოლა მოვიგე და შემდეგ გერმანიიდან მომივიდა მოწვევა. მოსამზადებლად კი მხოლოდ ორი თვე მქონდა. საკმაოდ ძლიერი მეტოქე შემხვდა, 41 წლის ქალი, მსოფლიო ჩემპიონი, მრავალი ქამრის მფლობელი... სამწუხაროდ, მასთან დავმარცხდი, მაგრამ გულს იმით ვიმშვიდებდი, რომ საერთაშორისო ასპარეზზე კარგი ბრძოლა ვაჩვენე, რამაც მეტი გამოცდილება შემძინა და სტიმულის მომცემი იყო. საბოლოო ჯამში უკმაყოფილო არ ჩამოვსულვარ. შემდეგ ეტაპზე ისევ სარეიტინგო ბრძოლები იყო, ყველა შეჯიბრი მოვიგე. შემდეგი მოწვევა უკვე ესპანეთიდან იყო. ორ თვეში მოვემზადე, მაგრამ იმ პერიოდში სწავლის გამო თბილისში ვიმყოფებოდი და მწვრთნელს იშვიათად ვხვდებოდი. ესპანეთში 37 წლის მეტოქესთან 6 რაუნდიანი ბრძოლა შედგა. საბოლოოდ, ესპანეთიდან გამარჯვებული დავბრუნდი და სარეიტინგო ცხრილში დავწინაურდი. გადმომეცა ფულადი ჯილდოც.

– ვიცი რომ, ქალი მოკრივეების სიმცირის გამო მეტოქის მოძებნა შესაბამისი წონის და ასაკის რთულია, ამის გამო ხშირად მონაწილეობის მიღება ჭირს...

– დიახ, ასეა... უფრო მეტ ასპარეზობას ვერ ვატარებდი, რადგან საქართველოში მეტოქე არ იყო და მუდმივად მეტი წონის მოკრივეებთან მიხდებოდა ბრძოლის წარმოება. ეს კი მოწინააღმდეგეს მეტ უპირატესობას აძლევს. შემდეგ უკვე 53 კილოგრამ წონით კატეგორიაში გავიმარჯვე. სულ 12 ოქროს მედალი მაქვს მოპოვებული.

– დედოფლისწყაროელი სპორტსმენები ძირითადად სავარჯიშო პირობების არარსებობის ფონზე მაღალი შედეგების მიღებას მაინც ახერხებდნენ. როგორ ფიქრობ, გარემო პირობები რამდენად მნიშვნელოვანია წარმატებების მისაღწევად?

– ცხადია, პირობები დიდ გავლენას ახდენს სპორტსმენის განვითარებაში. მეტი ხელშეწყობის პირობებში უფრო მეტი შედეგის დადებას შევძლებთ. ის, რაც ვარჯიშის დროს პრაქტიკულად გვაკლია, ვცდილობთ თეორიული ცოდნით შევივსოთ, ძირითადად, ფსიქოლოგიურად ვემზადებით ხოლმე.

– შენს სპორტულ გეგმებს ალბათ მოწინააღმდეგეებიც ჰყავდა...

– ნამდვილად... დღემდეა ასეთი რჩევები. ოჯახი, მეგობრები, ყველა წინააღმდეგია, რომ ვივარჯიშო. მაგრამ მათ არ ვუსმენ. ჩემი მთავარი მიზანია, რომ მსოფლიო ჩემპიონი გავხდე და სხვების აზრს არ ვითვალისწინებ... მათი წინააღმდეგობა ძირითადად იმითაა გამოწვეული, რომ ეშინიათ, რაიმე არ დავიზიანო და ტრავმები არ მქონდეს, ეს კი გარდაუვალია. იქიდან გამომდინარე, რომ მომავალი დედა ვარ, ფრთხილობენ და ფიქრობენ, თორემ წარმატებები ყველას გაუხარდება.

– როგორი იყო მშობლების და ოჯახის რეაქცია, როცა რინგზე ასვლა გადაწყვიტე?

– თავიდან ოჯახმა არც იცოდა, რომ მე კრივზე დავდიოდი. არ ვამხელდი. მანამდე ჩემი ძმა დადიოდა ამ კლუბში, თუმცა მალევე თავი დაანება და ფეხბურთში გადაინაცვლა. ყველაზე დიდი წინააღმდეგი დედა იყო. ძმა დღემდე გვერდით მიდგას. მას ეამაყება, რომ აქ ვარ. ყოველთვის ხელს მიწყობდა, მოდიოდა, ვარჯიშის დროს მეხმარებოდა, მამხნევებდა და ყველანაირად ხელს მიწყობდა. იმისათვის არ ვვარჯიშობ, რომ პოპულარული გავხდე, მაგრამ წარმატებას თან ახლავს პოპულარობაც. რაც მეტი გამიცნობს უკეთესია და უფრო ამაყი ვიქნები, მეტი რწმენა მექნება. პოპულარობა შრომის დაფასებაა და სასიამოვნო განცდაა.

– როგორ ფიქრობ, ჩვენში როგორ აღიქვამენ მოკრივე ქალს და რა დამოკიდებულებას გრძნობ?

– ადრე სხვა შეხედულება იყო, მაგრამ ახლა სპორტსმენი ქალი ვფიქრობ უფრო პოპულარულია. პირიქით, გამორჩეული ხარ და გხედავენ, რომ ძლიერი ხარ. ამას გარდა, ჯანსაღი ცხოვრების წესი ყველასთვის მისაბაძია. მოკრივე ქალებზე ფილმებს ხშირად ვუყურებდით. ასე ბევრად საინტერესო გახდა ჩემი ცხოვრება. ამ გადასახედიდან ვერც კი წარმომიდგენია, რა იქნებოდა კრივის გარეშე. მინდა, ბევრი გოგო დაინტერესდეს. ყოველთვის ვცდილობ პოპულარიზაცია გავუწიო, განსაკუთრებით გოგონებში.

– საინტერესოა, ძლიერ ქალს როგორი მეორე ნახევარი წარმოუდგენია მის გვერდით?

– ცხადია, მისთვის მისაღები უნდა იყოს ჩემი სპორტული საქმიანობა და გეგმები, პატივს უნდა სცემდეს ჩემს არჩევანს. ვინც სხვაგვარად ფიქრობს, მას ვერ დავუკავშირებ ცხოვრებას, მაგრამ, ერთი რამ ზუსტად ვიცი, ჩემი მეუღლე არცერთ შემთხვევაში არ იქნება მოკრივე. მართლა არ მინდა... მე ბედნიერი ვარ, რომ აქ ვარ, მაგრამ არ მენდომება ჩემი შვილი ამ გზას გაჰყვეს. თუმცა, სპორტი და ჯანსაღი ცხოვრების წესი მნიშვნელოვანია.

– ანუ, შვილს დაუშლი იმას, რისკენაც თავად ილტვოდი და მშობლები გეწინააღმდეგებოდნენ?

– არ ვიცი... თუ დავინახავ, რომ კრივი მას ისევე აბედნიერებს, როგორც მე, ალბათ შევეცდები გავუგო, ისევე, როგორც მე გამიგეს.

– ბავშვობა როგორი გქონდა, მოჩხუბარი იქნებოდი...

– კი, მოჩხუბარი ნამდვილად ვიყავი. ყოველთვის ვჩხუბობდი ბიჭებთანაც და გოგონებთანაც. ყველა აღნიშნავდა, რომ ძლიერი ბავშვი ვიყავი და უხეშობით გამოვირჩეოდი. მაგრამ სკოლაში, ან სკოლის გარეთ უფროს ასაკში კონფლიქტური არ ვყოფილვარ და არც ჩხუბი მომსვლია ვინმესთან. მითუმეტეს, რომ უპირატესობა ყოველთვის მქონდა. ვცდილობ, ენერგია მთლიანად დარბაზში დავხარჯო.

– გასული წლის ნოემბერში საქართველოს ჩემპიონატი შედგა, დიდი კონკურენცია იყო და მახსოვს, დიდი შემართებით ემზადებოდი...

– ისევ მეტოქეების სიმცირის პრობლემას წავაწყდი, ჩემი წონითი კატეგორია ამოვარდა და გაცილებით მძიმე წონოსან მეტოქეს შევხვდი, რის გამოც, სამწუხაროდ, ქულებით დავმარცხდი. საქართველოს კრივის ნაკრების წევრობისთვისაც ვიბრძოდი... ნაკრებში ვერ მოვხვდი, გაირკვა, რომ რადგან პროფესიონალური კრივის ნაკრების წევრი ვარ, არ მაქვს უფლება პარალელურად სამოყვარულო კრივის ნაკრების წევრიც ვიყო.

– პანდემია როგორ აისახა შენი ცხოვრების წესზე და სამომავლოდ რას გეგმავ?

– დიდი დრო გავიდა, რაც შეჯიბრი არ ჩამიტარებია, პანდემიის გამო სპორტული სამყაროც შეფერხდა. როგორც კი შეჯიბრის ჩატარების საშუალება მოგვეცემა, ვფიქრობ, საქართველოში ჩავატარებ სარეიტინგო ბრძოლებს პროფესიონალურ კრიში და შემდეგ უკვე საქართველოს ქამრის მოსაპოვებლად ვიბრძოლებ. რაც კრივში ვმოღვაწეობ, ამ ქამარზე ბრძოლა მხოლოდ ერთხელ ჩატარდა და ისიც ბიჭებში, გოგონებს არ გვეძლეოდა საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება. ამჯერად უკვე გვაქვს პრეტენზია და ვგეგმავ ორგანიზატორებს გოგონებს შორის შევთვაზოთ იგივე ქამარზე ბრძოლის ჩატარება და პიველი გოგო ვიყო საქართველოში, რომელიც ამ ქამარს დაეუფლება!...

ესაუბრა

ილია მარტყოფლიშვილი

კორონავირუსი და გარემოს დაცვა - რა გვასწავლა კოვიდ19-მა?

კორონავირუსმა ჩვენი პლანეტის თითქმის ყველა კონტინენტი მოიცვა. მარტში ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში დაინფიცირებულთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა, დაწესდა საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის საჭირო შემზღუდველი ზომები.

მიუხედავად იმისა, რომ ამ მოვლენებმა მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სოციალური დარტყმა მიაყენა მსოფლიოს (გლობალური წარმოება, მოხმარება და დასაქმების დონე ნელ — ნელა დაეცა), ისინი ასევე ასოცირდება ჰაერის დაბინძურების მნიშვნელოვან შემცირებასთან და სათბურის გაზების მცირედ გამოყოფასთან. არსებული შეზღუდვების შედეგად, ავიაკომპანიების მიერ დაგეგმილი ფრენების 60%-ით შემცირებით, მსოფლიოს დიდ ქალაქებში ჰაერის ხარისხის დონე მკვეთრად გაუმჯობესდა მარტსა და აპრილში. ჰაერის ხარისხი უმთავრესად გაუმჯობესდა ნახშირჟანგის (CO_2), აზოტის ოქსიდების (NO_x) და მასთან დაკავშირებული ოზონის (O_3), ქარხნისა და საგზაო მიმოსვლისას გამოყოფილი ნაწილაკების (PM) შემცირების გამო. არსებული მონაცემები იმის იმედს აჩენს, რომ ჩვენს მსოფლიო საზოგადოებას მართლაც შეუძლია სათბურის გაზების ემისიების შემცირება გრძელვადიან პერიოდში.

დაზუსტებით იმის თქმა, რომ ეს ეფექტური ეკოლოგიური გაუმჯობესება იქნება, შეუძლებელია. გარემოს დამცველები ითხოვენ, რომ სატრანსპორტო კომპანიებისთვის და სამრეწველო მწარმოებლებისთვის შეთავაზებული დებულებები ითვალისწინებდეს გამონაბოლქვის შემცირების სამომავლო გეგმებსაც. მაგრამ კრიზისის ყველა გარემოებამ დადებითი შედეგი არ გამოიღო. არაციკლირებადი ნარჩენების რაოდენობა გაიზარდა; სოფლის მეურნეობისა და თევზის ექსპორტის დონის შემცირებამ გამოიწვია დიდი რაოდენობით ორგანული ნარჩენების წარმოქმნა; დროებით შეჩერებულია ბუნებრივი ეკოსისტემების შენარჩუნება და მონიტორინგი; შეჩერდა ტურისტული საქმიანობა. გაჩნდა ასევე ადგილობრივი ნარჩენების პრობლემებიც, რადგან გადამუშავების ცენტრებში ვირუსის გავრცელების თავიდან ასაცილებლად მუშაობა უმეტესად შეჩერებულია. სურსათის საცალო ვაჭრობამ განაახლა პლასტიკური ჩანთების გამოყენება. მიზეზი მომხმარებლების მიერ ქაღალდის ჩანთების ხელახლა გამოყენება გახდა. გარდა ამისა, სახლში ყოფნის პოლიტიკის გამო, მომხმარებლების მიერ გაიზარდა საკვების ერთჯერადი შეფუთვით მოხმარება. იმის გამო კი, რომ ორგანული ნარჩენები ფუჭდება, მეთანის (CH_4) გამონაბოლქვის დონე, სათბურის გაზიც იზრდება.

კორონავირუსის კრიზისის დროს ბუნებრივი ეკოსისტემები და დაცული სახეობებიც რისკის ქვეშ არიან. ბევრ ქვეყანაში, ეროვნული პარკების, მინისა და საზღვაო ზონების დამცველები ვალდებულნი არიან დარჩნენ სახლში, ე.ი დატოვონ ეს ტერიტორიები „უყურადღებოდ“. ამან გამოიწვია ხე-ტყის უკანონო მოპოვების, თევზაობისა და ველურ ბუნებაში ნადირობის ზრდა. ეკოტურიზმის საქმიანობის შეჩერებამ ბუნებრივი ეკოსისტემები უკანონო მიმოსვლისა და ხელყოფის რისკის ქვეშაც დააყენა. გარდა ამისა, რადგან ეკოტურიზმი ხშირად ქვეყნებისთვის ძირითადი ეკონომიკური მიმართულებაა, კრიზისის შედეგად გამოწვეული უმუშევრობის გამო, შესაძლოა ბევრმა ოჯახმა მყიფე ეკოსისტემების რესურსების მოსავლიანობა არაეფექტურად გამოიყენოს. ამის მიზეზი კი დღეს დღეობით ამ რესურსების საკვებად და შემოსავლის მოძიების ალტერნატიულ წყაროდ განხილვაა. რა თქმა უნდა, კორონავირუსული კრიზისით გამოწვეული მრავალი ეკოლოგიური პრობლემა თანდათანობით მოგვარდება და ეკონომიკური საქმიანობაც ძველი რიტმით გაგრძელდება. მაგრამ იმ ფაქტსაც ვერ გავექცევით, რომ ჰაერის დაბინძურების შემცირებული ნიშნულებიც კვლავ ძველ მაჩვენებლებს დაუბრუნდება. ამასთან, ის რაც გლობალური ეკონომიკური საქმიანობის მკვეთრი ვარდნის, ეკოლოგიური სარგებლისა და რისკების შესახებ გავიგეთ, დაგვეხმარება გარემოსდაცვითი მექანიზმებისა და გარემოს დეგრადაციის შემცირების საკითხების უკეთ გაანალიზებაში.

რა უნდა გაკეთდეს? მწარმოებლების დახმარება ბაზრის კრიზისულ და პოსტკრიზისულ პირობებთან ადაპტირებაში, ზომების მიღების ალტერნატივას წარმოადგენს. მწარმოებლების მიერ განხორციელებულმა მოქმედებებმა შეიძლება ხელი შეუწყოს საარსებო შემოსავლის დონის შენარჩუნებას, სოფლის მეურნეობის, სატყეო, საზღვაო და ბიომრავალფეროვნებით მდიდარი ეკოსისტემების მდგრადი მართვის უზრუნველყოფას. მოსალოდნელია, რომ ასეთი სტრატეგიები, ახალ საბაზრო რეალობასთან ადაპტაციის მიზნით, დაზარალებული მწარმოებლებისა და საზოგადოების დამხმარე ორგანიზაციების გაძლიერებულ თანამშრომლობას დაეფუძნება. ეფექტურობის მისაღწევად კი ასეთი დახმარების განხორციელება საჭიროა მოგზაურობის შეზღუდვების გაუქმებისთანავე.

2004 წელს გამოქვეყნდა გაეროს ანგარიში, „უფრო უსაფრთხო მსოფლიო: ჩვენი საერთო პასუხისმგებლობა“, რომელზეც 5 წლის განმავლობაში დაახლოებით 1500 მეცნიერი მუშაობდა. ანგარიშის მიზანი, მსოფლიო მშვიდობის საფრთხეების დადგენა და მათთან ბრძოლის გზების განსაზღვრა იყო. დოკუმენტში გამოკვეთილი გლობალური საფრთხეების 6 ჯგუფიდან ერთ-ერთი „სიღარიბე, ინფექციური დაავადებები და გარემოს დეგრადაცია“ იყო. ამ სამმა ურთიერთდაკავშირებულმა და მნიშვნელოვანმა პრობლემამ სხვადასხვა საზრუნავი გაუჩინა სახელმწიფოებს. ანგარიში, ჯერ კიდევ ათეული წლის წინ აფრთხილებდა მსოფლიო მოსახლეობას, იმ სერიოზული გამოწვევებისა და შედეგების შესახებ, რომელიც შეიძლება სახელმწიფოების მხრიდან გარემოსდაცვითი პრობლემების უგულებელყოფამ გამოიწვიოს. „დაავადებები და სიღარიბე, თავის მხრივ, დაკავშირებულია გარემოს დეგრადაციასთან; კლიმატის ცვლილება იწვევს ისეთი დაავადებების ფართოდ გავრცელებას, როგორიცაა დენგეს ცხელება და მალარია. მოსახლეობის ზრდა, მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსების დეფიციტი აძლიერებს გარემოზე ზეწოლას, ეს კი ხელს უწყობს სამოქალაქო დაპირისპირებასა და ძალადობას“ - აღნიშნული იყო ანგარიშში.

კორონავირუსის პანდემიამ ადამიანს კიდევ უფრო ნათლად დაანახა ინფექციური დაავადებების ძალა, მათი კავშირი გარემოსდაცვით პროგლემებთან, გარემოსდაცვითი მმართველობის ხარვეზებთან, სოციალურ-ეკონომიკურ კრიზისთან და სიღარიბის ზრდასთან. შემცირებული გამონაბოლქვი, არხებში დაბრუნებული თევზები, გაწმენდილი ჰაერი, წყალქვეშ შემცირებული ხმაური, გარემოში მცირედ გავრცელებული მავნე ნივთიერებები - ეს ყველაფერი შეგვიძლია ახალი კორონავირუსის „კარგ გაკვეთილად“ მივიღოთ და რა თქმა უნდა, გამოვიყენოთ სამომავლო მდგრადი ეკოლოგიური ცვლილებებისთვის.

ეკოლიდერთა სკოლაში სწავლა დაიწყო

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ეკოლიდერთა სკოლაში სწავლა დაიწყო. როგორც „ინტერპრესნიუსს“ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრიდან აცნობეს, სასწავლო კურსი ცენტრის დირექტორმა თამარ ალადაშვილმა გახსნა და ყურადღება გაამახვილა ეკოლიდერთა სკოლაში მონაწილეთა შესაძლებლობაზე - თანამედროვე სწავლების მეთოდებით გაიღრმავონ ცოდნა გარემოსდაცვით სფეროში, გაეცნონ სფეროში არსებულ გამოწვევებსა და საპასუხო ქმედებებს, შეიძინონ თანამოაზრეები და მათთან ერთად პრაქტიკაში განახორციელონ საინტერესო პროექტები, აქტიურად ჩაერთონ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მომავალ ღონისძიებებში.

„ეკოლიდერთა სკოლაში მონაწილეები შეირჩა კონკურსის საფუძველზე, სადაც 3 კვირის განმავლობაში სხვადასხვა გარემოსდაცვით თემაზე გაიმართება დისტანციური შეხვედრები, ონლაინ სემინარები. ეკოლიდერები კვალიფიციური ადამიანიების დახმარებით გაეცნობიან პლანეტის თანამედროვე გამოწვევებს და იმსჯელებენ პრობლემების გადაჭრის გზებზე, მიიღებენ ცოდნას გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ, განივითარებენ

კრიტიკული აზროვნების, საკუთარი მოსაზრების დაცვისა და გუნდური მუშაობის უნარებს.

ეკოლიდერთა სკოლა გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ შემუშავებული სასწალო პროგრამაა, რომლის მიზანიც ახალგაზრდა თაობისათვის გარემოსდაცვითი საკითხების სწავლება და ამ მიმართულებით მათი ცნობიერების ამაღლება წარმოადგენს. სასწავლო კურსის დამთავრების შემდეგ მონაწილეებს ეცოდინებათ საქართველოს ბიომრავალფეროვნების როლი და გაეცნობიან ბიომრავალფეროვნების დაცვის მექანიზმებს, მიიღებენ თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებას გარემოსდაცვითი კამპანიების დაგეგმვასა და განხორციელებაში, გაეცნობიან გარემოსდაცვითი პროფესიების მნიშვნელობასა და პერსპექტივებს. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი ახალი კორონავირუსით (ჩჯ-VID-19) გამოწვეული პანდემიის გამო საგანმანათლებლო ღონისძიებებს კვლავაც დისტანციურად განაგრძობს”, - ნათქვამია ინფორმაციაში.

გვერდი მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

რა დავალება მიიღეს სკოლის დირექტორებმა განათლების სამინისტროსგან

ჯანდაცვის სპეციალისტები მიმდინარე წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე კორონავირუსის მეორე ტალღას პროგნოზირებენ. ამ ფონზე განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, პანდემიის პირობებში ახალი სასწავლო წლის დაწყებისთვის ემზადება და სწავლების სხვადასხვა ვარიანტს აქტიურად განიხილავს. როგორც ცნობილი გახდა სამინისტრო გეგმავს, რომ პირველი და მეორე კლასების მოსწავლეებს გაკვეთილები სკოლაში ჩაუტარდეთ და მათი ონლაინ სწავლებაზე გადასვლა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მოხდეს.

ამის შესახებ საუბრობენ მშობლები, რომლებმაც მსგავსი სახის ინფორმაციები მასწავლებლებისგან მიიღეს და ამას მოწმობს სხვადასხვა სკოლების დახურულ ჯგუფებში გავრცელებული დირექტორების წერილები (რესურს ცენტრებისგან მიღებული), სადაც ისინი დამრიგებლებს მოუწოდებენ მაქსიმალურად სწრაფად შეაგროვონ ინფორმაცია მოსწავლეების საჭიროებების შესახებ, სადაც ასევე აღნიშნულია, რომ პირველი და მეორე კლასები გამოუვალი სიტუაციის გარდა,ონლაინ არ ისწავლიან.

„დავალება სკოლის დირექტორებს 21 ივნისი· მოგესალმებით, სკოლებს მოგეცათ შემდეგი დავალებები და რეკომენდაციები: მოახდინოთ მოსწავლეთა იდენტიფიცირება საჭიროებებზე (კომპიუტერული ტექნიკა, ინტერნეტი, სხვა) და მოიძიოთ გამოვლენილი პრობლემების გადაჭრის გზები (ადგილობრივები, სპონსორები, არსებული ტექნიკის — ბუკების — შეკეთებაში დახმარება და ა.შ) უმოკლეს დროში! ყოველივე ამის საფუძველზე უნდა მოგვაწოდოთ გეგმა-ხედვა, თუ როგორ წარიმართება ახალი სასწავლო წელი თქვენს სკოლაში. გაწერილი რაც შეიძლება დეტალურად. გაითვალისწინეთ, რომ გარდა გარდაუვალი საჭიროებისა, 1-ლი და მე-2-ე კლასი არ ისწავლის ონლაინ“, — ნათქვამია წერილში.

პანდემიის პირობებში სამინისტრო სასწავლო პროცესის უსაფრთხოდ განახლებისთვის სხადასხვა ვარიანტს განიხილავს. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და სასწავლო რესურსების შეფასების სამმართველოს უფროსი მარიამ ჩიქობავა, მოუწოდებს სკოლებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაში აქტიურად ჩაერთონ.

„ძვირფასო დირექტორებო, გაცნობებთ, რომ ყოველკვირეული შეხვედრები მაქვს რესურსცენტრების უფროსებთან. ამჟამად ყველა რესურს ცენტრს დავალებული აქვს, რომ იმუშაოს თქვენთან ახალი სასწავლო წლის უსაფრთხოდ განახლების დაგეგმვაზე. პირველ რიგში ეს ეხება სწავლების ორგანიზებას: სხვადასხვა მოდელის დამუშავებას (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურებისთვის), რომელიც, ცხადია იქნება ყველა სკოლაში განსხვავებული. ეს ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული: მოსწავლეთა რაოდენობაზე, ფართის სიდიდეზე, მასწავლებლების კომპენტენციაზე, საგნის ბუნებაზე, კლასისა და მშობლების მიმღებლობაზე და ა.შ. ყველა რესურს ცენტრს გადაგზავნილი აქვს ალტერნატივები/მოდელები, რომლებიც გამოიყენეს სხვადასხვა ქვეყანაში. ახლა საჭიროა, თქვენი მზაობიდან და საჭიროებიდან გამომდინარე დაგეგმოთ სწავლა-სწავლების პროცესი კონკრეტული საათობრივი ბადით და საგაკვეთილო ცხრილებით.„და კიდევ, რესურსცენტრების უფროსებთან ერთად ასევე ვიხილავთ მოსწავლეთა შეფასების სისტემის ცვლილებას. ეს იდეაც პრეზენტაციის სახით (თავისი სამსჯელო კითხვებით) მიწოდებული აქვთ რესურსცენტრებს და გთხოვთ, თქვენც იაქტიურეთ, იკითხეთ, მოითხოვეთ და იმსჯელეთ და მოგვაწოდებთ მოსაზრებები რისკებთან და ბენეფიტებთან დაკავშირებით. თქვენზე უკეთე ვერავინ გვეტყვის, რა და როგორ სჯობს. დაბოლოს, რა თქმა უნდა, კიდევ იქნება ინსტრუქციები სასწავლო პროცესის უსაფრთხოდ განახლებასთან დაკავშირებით (ვგულისხმობ მთელ რიგ ტექნიკურ საკითხებს: თერმოსკრინინგი, რეფერირება, სანიტარული წერტილების დასუფთავება, ქცევის წესები და სხვა). თუმცა, სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების დაგეგმვაზე ზრუნვა უკვე დაწყებულია და გთხოვთ აქტიურად ჩაერთოთ თქვენს რესურსცენტრთან ერთად“, — წერს მარიამ ჩიქობავა სოციალურ ქსელში.

კორონავირუსის მერე ტალის რისკებიდან გამომდინარე განათლების სამინისტრომ ასევე საუბრები განაახლა ელექტრონულ სახელმღვანელოებზეც. ეს იდეა ჯერ კიდევ მინისტრ ალექსანდრე ჯეჯელავას ჰქონდა და მოგვიანებით მის დანერგვაზე კიდევ ერთი მინისტრი, მიხეილ ბატიაშვილი საუბრობდა, თუმცა კონკრეტული ნაბიჯები გადადგმული არ ყოფილა. პანდემიამ და დისტანციური სწავლების საჭიროებამ აჩვენა, რომ ელექტრონულ რესურსებზე მოთხოვნა გაიზარდა. იმ შემთხვევაში თუ გამომცემლებთან შეთანხმებას მიაღწევენ არ არის გამორიცხული მოსწავლეებმა გრიფირებული სახელმძღვანელოები მატერიალურთან ერთად ელექტრონული სახითაც მიიღონ.

„პანდემიის პირობებში, მოგეხსენებათ, კიდევ უფრო გაძლიერდა მოთხოვნა, რომ შეიქმნას კიდევ უფრო მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსები. შესაბამისად, ჩვენ გავუწიეთ ორგანიზება გამომცემლებთან შეხვედრას და დავიწყეთ დიალოგი. ეს სამუშაო პროცესია და ჩვენ ამ შეხვედრებს ეტაპობრივად გავაგრძელებთ. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნო, რომ საჯარო სკოლის ყველა მოსწავლე მიიღებს გრიფირებულ სახელმძღვანელოს ნაბეჭდი ანუ მატერიალური სახით. თუმცა, იმისათვის, რომ კიდევ უფრო მრავალფეროვანი გავხადოთ რესურსები, გამომცემლებს ვესაუბრეთ და შევთავაზეთ, წარმოადგინონ წინადადებები, რა პირობით მოგვცემდნენ სამინისტროს უფლებას, რომ არსებული გრიფირებული სახელმძღვანელოები, რომელთაც ვბეჭდავთ, არსებობდეს ელექტრონული — PDF ფაილის სახით. კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა, რომ საუბარია ნაბეჭდი სახელმძღვანელოების პარალელურად, PDF ფაილის ხელმისაწვდომობაზე, რაც არ ანაცვლებს ნაბეჭდ სახელმძღვანელოს“, — აცხადებს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის მოადგილე ეკატერინე დგებაშაძე.

ჯანდაცვის სპეციალისტების განცხადებით, საქართველოში კორონავირუსის ეპიდემია კონტროლს ექვემდებარება და ამ ეტაპზე არსებული სიტუაცია ხელს არ უშლის ქვეყანაში არც არჩევნების ჩატარებას და არც სასწავლო პროცესის დაწყებას. თუმცა იმასაც აღნიშნავენ, რომ უცნობ ვირუსზე პროგნოზის გაკეთება რთულია.

„დღევანდელი ჩვენი ეპიდსიტუაცია არის ერთ-ერთი საუკეთესო რეგიონში და, რა თქმა უნდა, ის იძლევა საშუალებას, რომ ამ ტიპის ეპიდსიტუაციის დროს ქვეყანაში არჩევნებიც ჩატარდეს, სასწავლო პროცესიც დაიწყოს და კიდევ სხვა ღონისძიებებიც გაფართოვდეს. მაგრამ ხაზს ვუსვამთ, რომ პროგნოზირება, თუ რა იქნება მომავალი ოთხი თვის განმავლობაში, რადგან დღეს გლობალურად ხედავთ, რომ ყოველდღიურად ახალ ინფიცირებულთა რაოდენობა მთელ მსოფლიოში იმატებს, გასაგებია, ეს რამდენიმე ქვეყნის ხარჯზე ხდება, მაგრამ ზოგადად სიტუაცია არ მშვიდდება“, — განაცხადა დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ პარლამენტში არჩევნებთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფთან შეხვედრის შემდეგ.

რა კავშირია ბავშვის ტემპერამენტსა და ზრდასრული ადამიანის ხასიათს შორის?

ხასიათის ის თავისებურებები, რომლებიც ადამიანს უკვე ზრდასასრულ ასაკში აქვს, მას ჯერ კიდევ მაშინ უვლინდება, სანამ ენას აიდგამს. თუმცა ამის გაგება არც ისე ადვილია. ფსიქოლოგების განმარტებით, ადამიანი, როგორც პიროვნება სხვადასხვა ფაქტორის ზემოქმედებით ყალიბდება. თქვენს ამჟამინდელ ხასიათზე აისახა თქვენი გენები, მეგობრები, სკოლა და სხვა გარე ფაქტორები. როდის იღებს ადამიანის ხასიათი მკვეთრ კონტურებს? თუ თქვენ მორცხვი ხართ, ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ბავშვობაშიც ასეთი იყავით? ზოგიერთი კვლევა აჩვენებს, რომ ქცევითი ტენდენციები, რომლებიც ბავშვს დაბადებიდან რამდენიმე თვეში უვლინდება, მის მომავალ პიროვნულ თვისებებთან მჭიდროდ არის დაკავშირებული.

ადამიანის ხასიათი ჯერ კიდევ ჩვილობის დროს ყალიბდება?

ასე ცალსახად ვერ ვიტყვით. ხასიათის ძირითადი შტრიხების განსაზღვრა ბავშვის ამქვეყნად მოვლინების პირველ დღეებშიც შესაძლებელია. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანის პიროვნული თვისებები ასეთ ადრეულ ასაკში ყალიბდება და დროსთან ერთად არ იცვლება. აღსანიშნავია, რომ ფსიქოლოგები, რომლებიც ბავშვების ქცევით ტენდენციებს აკვირდებიან, ჩვეულებისამებრ იყენებენ ტერმინს „ტემპერამენტს“ და არა - „პიროვნებას“.

ამ მიმართულების ერთ-ერთი პირველი სამეცნიერო ნაშრომი იყო კვლევა სახელწოდებით Nეწ ჲორკ ჳონგიტუდინალ შტუდყ, რომელიც ნიუ-იორკში 1950 წელს დაიწყო. ამ პროექტის ფარგლებში ფსიქოლოგი ცოლ-ქმარი სტელა ჩესი და ალექსანდერ ტომასი 133 ბავშვს დაბადებიდან 30 წლამდე აკვირდებოდნენ. მეცნიერები ცდის მონაწილეთა მშობლებსაც პერიოდულად ეკონტაქტებოდნენ.

მიღებული მონაცემების საფუძველზე მათ ახალშობილის ტემპერამენტის განმსაზღვრელი 9 პრინციპული ასპექტი გამოჰყვეს. მათ შორის იყო აქტიურობის დონე და განწყობა.

ამერიკელმა ფსიქოლოგებმა ზოგიერთი პარამეტრის კანონზომიერება დაადგინეს და ბავშვების სამი ტიპი დაასახელეს. ამასთან, მაშინ პოლიტიკურ კორექტულობას ისეთი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა, როგორც დღეს. ამიტომ ამ ჯგუფებმა შემდეგი სახელწოდებები მიიღეს: ბავშვები რთული ტემპერამენტით, ბავშვები მსუბუქი ტემპერამენტითა და შენელებულად განვითარებადი ბავშვები.

რა კავშირია ბავშვის ტემპერამენტსა და ზრდასრული ადამიანის ხასიათს შორის?

იმავე კვლევის თანახმად, ბავშვები, რომლებიც 3 წლამდე რთული ან მსუბუქი ტემპერამენტის მქონეთა ჯგუფში მოხვდნენ, კატეგორიას არც მოგვიანებით იცვლიდნენ. თუმცა მეცნიერებს ბავშვის ტემპერამენტსა და ზრდასრული ადამიანის ხასიათს შორის კავშირი მაშინ არ შეუსწავლიათ.

დიდი ხნის განმავლობაში ფსიქოლოგებს, რომლებიც ბავშვის ტემპერამენტს სწავლობდნენ და სპეციალისტებს, რომლებიც ზრდასრული ადამიანის პიროვნებას აკვირდებოდნენ, ერთმანეთი არ გადაუკვეთავთ. სიტუაცია მხოლოდ ბოლო ათწლეულში შეიცვალა. მიუხედავად იმისა, რომ ახალშობილის ტემპერამენტით მისი პიროვნების ზუსტად განსაზღვრა შეუძლებელია, ეს კატეგორიები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია.

ახალშობილის ტემპერამენტის შეფასების კრიტერიუმები შეიცვალა?

დიახ. ტემპერამენტის ზემოთ ხსენებული 9 ასპექტი დღეს უკვე 3 ფართო კატეგორიად იქცა. სხვადასხვა ფსიქოლოგიური ლაბორატორიის წარმომადგენლები მათ განსხვავებულად მოიხსენიებენ.

ერთი მხრივ ეს არის „კონტროლი, რომელიც ძალისხმევას მოითხოვს“, რომელიც აღნიშნავს ახალშობილის უნარს საკუთარი თავი აკონტროლოს და ამა თუ იმ საგანზე ყურადღების კონცენტრაცია შეძლოს. მეორე მხრივ, ეს არის „ნეგატიური ეფექტიანობა“, რომელიც უარყოფით ემოციასთან, შიშსა და იმედგაცრუებასთან ასოცირდება.

ბოლოს და ბოლოს, როდის ყალიბდება ადამიანის ხასიათი?

ფსიქოლოგთა შეფასებით, ახალშობილებს, რომლებსაც ექსტრავერსიისა და დინამიზმის მაღალი მაჩვენებელი უვლინდებათ (მაგალითად, ხშირად იღიმიან), 8 წლისას ნევროტიზმის, (ნევროტიზმი ხასიათდება მოწყენით, ცუდ ხასიათზე ყოფნით და ემოციური არასტაბილურობით) დაბალი მაჩვენებელი აქვთ. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი ემოციურად უფრო გაწონასწორებულები არიან. ასე რომ, ფსიქოლოგების შეფასებით, თუ თქვენი შვილი მცირე ასაკიდანვე ყურადღებიანია, ეს იმას ნიშნავს, რომ დიდი ალბათობით ის მოწესრიგებული მოზარდი იქნება. თუმცა არის შემთხვევები და არც თუ ისე იშვიათად, როდესაც საკმაოდ მხიარული ბავშვები ასაკის მატებასთან ერთად ნაკლებ ექსტრავერსიულები არიან. ეს კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ ტემპერამენტი, რომელიც ჩვენ მცირე ასაკში გვაქვს, ყოველთვის არ გვინარჩუნდება.

ასეა თუ ისე, ფსიქოლოგები თანხმდებიან, რომ ტემპერამენტის თავისებურებები, რომლებიც ადამიანს თავისი ცხოვრების პირველ წლებში ახასიათებს, არის ერთგვარი ფუნდამენტი მისი პიროვნების ჩამოყალიბებისთვის. ჩეხმა მეცნიერებმა ჩაატარეს კვლევა, რომლის ფარგლებშიც 12-დან 30 თვემდე ბავშვების ტემპერამენტი შეისწავლეს. მათ დაასკვნეს, რომ თუ ადამიანი მცირე ასაკში აქტიური და დამოუკიდებელია, ზრდასრულობის პერიოდში მაღალი ალბათობით ექსტრავერსიული და თავდაჯერებული იქნება.

ადამიანი მუდმივად ვითარდება და შესაძლოა, ეს ხდება გარკვეული კანონზომიერებით, მაგრამ შეუძლებელია ზუსტად განისაზღვროს ის კონკრეტული მომენტი, როდესაც ადრეულ ასაკში დამახასიათებელი თვისებები ზრდასრული ადამიანის ხასიათად იქცევა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ბავშვი როდესაც 3 წლის ხდება, მშობელს აქვს დაახლოებითი წარმოდგენა, თუ როგორი იქნება მისი ტემპერამენტის თავისებურებები.

სწორედ ამაზე მეტყველებს კვლევა, რომლის ფარგლებშიც ლონდონის ფსიქიატრიის ინსტიტუტის პროფესორებმა 3 წლის ბავშვების ქცევითი პარამეტრები ამავე ადამიანების ქმედებებს 23-წლიანი ინტერვალის შემდეგ შეადარეს. ამ ცდაში სულ 1000 ადამიანი მონაწილეობდა. ფსიქოლოგებმა ისინი რამდენიმე ჯგუფად დაჰყვეს: „გაწონასწორებულები“, „კონტროლის არასაკმარისი უნარის მქონენი“, „თავდაჯერებულები“, „დაძაბულები“ და „თავშეკავებულები“. თითქმის 3 ათწლეულის შემდეგ მეცნიერებმა კიდევ ერთხელ დაასკვნეს, რომ თავდაჯერებული ბავშვები მკვეთრად გამოხატულ ექსტრავერტებად იქცნენ.

მეცნიერები სულ უფრო ხშირად პოულობენ იმის მტკიცებულებას, რომ ზრდასრულ ადამიანებში არსებული ფსიქოლოგიური პრობლემები პირველად მათ ადრეულ ასაკშიც უვლინდებოდათ. შესაძლოა, სწორედ ამ თავისებურებების ცოდნაა საჭირო, რომ უფროსებმა ფრთხილად იმოქმედონ და შვილებს ჯანსაღ ადამიანებად ჩამოყალიბებაში დაეხმარონ.

გვერდი მოამზადა
ხათუნა ბენაშვილმა

„ჩემი ცხოვრების ჯიქთა ხათუნი“

„..სად წავალ? შენკენ მომაფრენს ქარი,
ფრთად მექცა შენი ემობის უღელი,
ყველგან თანა გდევ, ფიქრივით ჩქარი,
ჩრდილივით ჩუმი და განუყრელი“..

კიდევ ერთი უსაზღვრო სიყვარულის ამბავი ადამიანებზე, რომლებიც საოცრად უხდებოდნენ და ალამაზებდნენ თბილისსა და მთელ საქართველოს; ამბები ურთიერთობებსა და სიყვარულზე, რომელიც მუდამ თან სდევდა მწერლისა და მთარგმნელის, გრიგოლ აბაშიძის ოჯახს. მათზე ბევრი ამბავი მომისმენია და ახლა თქვენც მინდა, გიამბოთ ბატონ გრიგოლსა და მის მეუღლეზე - ლამარა აბაშიძეზე, ქალზე, რომელიც მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების მუზად იქცა; ქალზე - ისეთ ლამაზსა და მომხიბვლელზე, რომ მოსკოვის სვეტებიან დარბაზში შესულს, იქ მყოფმა ყველა მამაკაცმა დაუჩოქა.

ორი აბაშიძის გაცნობა

აბაშიძე ჩვენში საკმაოდ გავრცელებული გვარია და საქართველოს ბევრ კუთხეში შეხვდები. მართალია, ერთი გვარისანი იყვნენ და თანაც - იმერელი აბაშიძეების შთამომავლები, მაგრამ მათი წინაპრები ერთმანეთს არ ენათესავებოდნენ.

მწერალმა ძალიან ახალგაზრდა და გამორჩეულად ლამაზი ლამარა აბაშიძე პირველად თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ნახა. იმხანად იგი 30-31 წლის იქნებოდა, ქალი - 12 წლით უმცროსი. ქალს დასავლეთ ევროპის ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული, ინგლისურის განხრით და ფრანგულიც კარგად იცოდა, მუსიკა კი მისი დიდი გატაცება იყო და საოპერო სპექტაკლს არ აცდენდა.

სხვათა შორის, ფრანგული მამაკაცმაც ძალიან კარგად იცოდა. პიერ რონსარი ბწკარედის გარეშე ჰქონდა ნათარგმნი. მწერალს ლამარა აბაშიძე დანახვისთანავე მოეწონა და შეუყვარდა კიდეც. ლექსიც მიუძღვნა - “ჯიქთა-ხათუნი”, რომელიც მერე ყველას პირზე ეკერა:

„და შედგა ჩემი ბედის ბორბალი,
შეჩერდა, შენი თმით დახლართული,
შენ, ერთადერთი ხარ დედოფალი,
ჩემი ცხოვრების ჯიქთა-ხათუნი.
მე ერთადერთი მხიბლავს ოცნება,
წვრილი წარბები წუვილად გართხმული,
რაღაც გულწრფელი, ვით გაოცება
და რაღაც - კიდევ უფრო ქართული.
სად წავალ? შენკენ მომაფრენს ქარი,
ფრთად მექცა შენი ემობის უღელი,
ყველგან თანა გდევ, ფიქრივით ჩქარი,
ჩრდილივით ჩუმი და - განუყრელი.
დე, ჩემს ეტლს ქარმა ქროლვა უცვალოს,
შეჩერდეს, შენი თმით დახლართული,
ვეფხვზე უწყალო, ჯიქზე უწყალო,
შენა ხარ ჩემი ჯიქთა ხათუნი”.

ჯიქთა-ხათუნი, თურმე, ყოფილა მონღოლი პრინცესა, რომელიც ძალიან ლამაზი და ამაყი იყო და მამაკაცებს ძალიან ამწარებდა...

შინ

მალე დაოჯახდნენ და ორი შვილი ეყოლათ. მწერალმა ორივეს დიდი ქართველი მეფეების სახელები უწოდა: ქალიშვილს - თამარი და ვაჟს - დავითი. მართალია, ცოლ-ქმარს შორის 12 წელიწადი იყო სხვაობა, მაგრამ ეს არ იგრძნობოდა. გრიგოლ აბაშიძე ბუნებით ისეთი ახალგაზრდული ტიპი იყო, ისეთი ხალისიანი, იუმორით სავსე, რომ მასთან ურთიერთობა ოჯახშიც და მის გარეთაც ყველას უადვილდებოდა.

ეს ადამიანი სულ სიკეთეს ასხივებდა. ამბობენ, შინ რომ შედიოდა, თითქოს, კედლებიც იცინოდნენო. რაიმესაც რომ შეეწუხებინა, ოჯახის წევრებს არასდროს აგრძნობინებდა. ბევრ ადამიანს საგანგებო პირობები უნდა შეუქმნა სამუშაოდ, იგი ამ შემთხვევაშიც არავის უქმნიდა პრობლემას - მუშაობისასაც კი არ წუხდებოდა. თამარი მუსიკაზე დადიოდა და მამის შინ ყოფნისასაც ხშირად უწევდა მეცადინეობა. ერთმანეთში გამავალი ოთახები ჰქონდათ და მამა თავის ოთახში რომ წერდა, აქეთ თამარი უკრავდა, თანაც მარტო შოპენსა და ბეთჰოვენს ხომ არ შეასრულებდა? - ხან გამებს უკრავდა, ხან სხვა სავარჯიშოებს, მამა კი მას ერთ საყვედურსაც არასდროს ეტყოდა.

აბაშიძეებისეული „შერბურგის ქოლგები“

ცოლ-ქმარი ერთმანეთის ცხოვრებით ცხოვრობდა... თითქოს, კუნძულზე იყვნენ... რაღაც აღმაფრენა იყო მათ ურთიერთობაში. გრიგოლის ცხოვრებაში ლამარას გარეშე არაფერი ხდებოდა, არაფერი, რაშიც ქალი არ იყო ჩართული. შვილებიც კი მეორეხარისხოვანნი იყვნენ მათთვის... თითქოს, ერთმანეთისთვის იყვნენ დაბადებულები, როგორც ერთი მთლიანობა.

ლამარა აბაშიძე ძალიან ნაზი ქალი იყო და მუსიკალური ხმა ჰქონდა - რომ ლაპარაკობდა, გეგონებოდა, მღერისო. ერთხელ პოეტ ჯანსუღ ჩარკვიანს უთქვამს, გრიგოლს რა უჭირს, “შერბურგის ქოლგები” აქვს სახლშიო. მწერალი ყვავილების დახლთან თუ გაივლიდა, მეუღლესთან აუცილებლად იები ან სხვა ყვავილი მიჰქონდა. ქალს სილამაზე უყვარდა, ნიჭიერ მხატვრებთან ურთიერთობდა და სახლიც განსაკუთრებულად ლამაზად ჰქონდა მოწყობილი. ამგვარი მეუღლის გვერდით ყოფნა იმდენად ალამაზებდა მწერლის შემოქმედებასაც, რომ თუკი სადმე ვინმე გაჭაჭანდებოდა თბილისში, ან მოსკოვიდან, ან უცხოეთიდან ჩამოსული, აუცილებლად მათ ოჯახში მიდიოდა. მიდიოდნენ იმიტომ, რომ აბაშიძეების ოჯახს გამორჩეულად მიიჩნევდნენ. ძალიან კარგი ხალხი იკრიბებოდა მათთან. ლამარა აბაშიძე ძალიან კარგი დიასახლისი იყო და მაგიდასაც ისე ლამაზად გააწყობდა ხოლმე, მართლა ხელოვნების ნიმუში იყო. ყველა, ვინც მათ სახლში ხვდებოდა, აღტაცებული რჩებოდა.

იმ პერიოდში ცხოვრობდა მილიარდერი და მეცენატი, გვარად ჩინი - იტალიაში დღესაც არსებობს მისი სახელობის ფონდი. მას ვენეციაში, საკუთარ პატარა კუნძულზე, სასახლე ჰქონდა აშენებული. ერთხელ იგი ცოლთან, შვილთან, სიძესთან, შვილიშვილთან, მის მასწავლებელთან და პირად ექიმთან ერთად საკუთარი თვითმფრინავით ჩამოფრინდა თბილისში და სწორედ აბაშიძეებს ესტუმრა. თამარმა სტუმრებისთვის შუმანის ნაწარმოები დაუკრა. ვახშამს ქართველი საზოგადო მოღვაწეებიც ესწრებოდნენ და ისეთი კარგი საღამო გამოვიდა, ბატონი ჩინი ერთობ ნასიამოვნები დარჩა. ერთი თვის შემდეგ მან ვენეციაში იტალიელი პოეტის, რენესანსის ერთერთი ფუძემდებლის - ფრანჩესკო პეტრარკას დღეები მოაწყო და გრიგოლ და ლამარა აბაშიძეებიც მიიპატიჟა. იმხანად ლამარას ფეხი ჰქონდა ნაღრძობი, თაბაშირში და ეს ამბავი რომ გაიგო, სამსახურიდან დაბრუნებულ გრიგოლს უკვე უთაბაშიროდ დახვდა, - საერთოდ აღარ მაწუხებს ფეხიო. რასაკვირველია, ვენეციაში იმ დღეებს ორივე დაესწრო. ეგ კი არა, მწერალი თვითონ იყო ხოლმე გაოგნებული, ოთხი კაციც რომ მიდიოდა უცხოეთში, ლამარა აბაშიძესაც აუცილებლად სვამდნენ დელეგაციაში, არადა, ქალი არც მწერალი იყო, არც რაიმე კუთხით საზოგადო მოღვაწე. წარმოგიდგენიათ, როგორ აფასებდნენ და როგორ მოსწონდათ? ლამის, აღმერთებდნენ.

მწერლის შემოქმედების მუზა

“ჯიქთა ხათუნი” ლამარა აბაშიძისადმი მიძღვნილი პირველი ლექსი იყო, ისე კი, ბევრი ლექსი აქვს ცოლისთვის მიძღვნილი. იგი ცხოვრების ბოლომდე უწერდა საყვარელ ქალს ულამაზეს ლექსებს, ქალს კი მთელი ცხოვრების განმავლობაში გასაოცარი და უდიდესი სიყვარულით უყვარდა ქმარი. გამორჩეულად რომანტიკული ურთიერთობა ჰქონდათ და მწერლის პირველი წამკითხველიც და შემფასებელიც სწორედ ცოლი გახლდათ, ლექსი დაწერილი არ იყო, რომ ლამარამ უკვე იცოდა... ლამარა რომ არ ყოფილიყო, გრიგოლ აბაშიძის თარგმანებიც, თუნდაც - შანდორ პეტეფის “მიყვარხარ ძლიერ, ძლიერ”, ვერაფრით იქნებოდა ასეთი. ყველგან და ყველაფერში მისი მუზა ლამარა იყო.

„არყოფნისაკენ! არყოფნისაკენ! ჩემს გასაფრენად ქრიან ქარები“...

ლამარა ქმრის შემოქმედებიდან არაფერს გამოჰყოფდა ხოლმე, ზოგადად, საყვარელი მამაკაცის შემოქმედება უყვარდა და იმიტომ... მწერლის ბოლო პერიოდის ლექსები ძალიან სევდიანი და მძიმე იყო ქალისთვის. “არყოფნისაკენ” რომ დაწერა, უთხრა კიდეც ქმარს, ეს რამ დაგაწერინაო! მაგრამ... აფხაზეთის ომმა მოულო ბოლო, თორემ ენერგიულობა არ მოჰკლებია. ამის დასტური იყო 80 წლის ასაკში დაწერილი მისი ბოლო ლექსიც - “არყოფნისაკენ”.

ჯერ გრიგოლ აბაშიძე გარდაიცვალა, თავის მე-80 დაბადების დღემდე ოთხი დღით ადრე და თავის დაბადების დღეს - 1-ლ აგვისტოს დაკრძალეს.ამის შემდეგ, ფაქტობრივად, ლამარა აბაშიძესაც აღარ უცხოვრია... ყველაფრისადმი დაეკარგა ინტერესი, ქმრის გარეშე ჯოჯოხეთური გზა გაიარა და 2008 წელს გარდაიცვალა. მისთვის მთავარი ყოველთვის გრიგოლი იყო და პირიქით - მწერლისთვისაც ყოველთვის ლამარა იყო მთავარი. მართლაც ზღარული სიყვარული ჰქონდათ.

მოამზადა
ხათუნა ბენაშვილმა

პოეზიის ერთი წუთი

მეუღლეს

ბედმა გარგუნა უფულო ქმარი,
იქნება გული ძალიან დაგწყდა,
შენი ღირსება სწორედ ის არის,
რომ სამდურავი ერთხელ არ დაგცდა;
უღელიც ისე ერთგულად სწვიე,
რომ არ დაუდე ქმარს წამით ტოლი,
ბედნიერებას თუმც ვერ ეწიე,
მაგრამ ხარ ნაღდი მეუღლე, ცოლი.
ეშმამ მოგიწყო დიდი გამოცდა,
სიავეს მაინც არ დაემონე,
მადლობა შენდა ამი გამოც და,
უფლის მცნებები რომ გაიგონე.
თურმე რამხელა გული გქონია,
გავიგე შვილის სიკვდილის შემდეგ,
მხოლოდ ზღაჰრად თუ გამიგონია,
შენ იმსიმაღლე კვარცხლბეკზე შესდექ!

ბერიკაცური

ძველი სიტურფის მადლი მოგდგამს კვლავ,
ეს აღტაცება არ მსურს დავმალო,
გემუდარები, ისე ნუ მომკლავ,
რომ არ მაჩუქო კოცნა-მალამო.
მირბიან წლები გიჟურ ჭენებით,
ჩვენც მიგვაქანებს ჟამთა სვლის სრბოლა,
დაისრული ვარ შურით, ენებით,
გულს გამიმთელებს შენთანღა წოლა.
შენი წადილიც იქნებ ეს არის,
და მე ვერ ვხვდები ამას რეგვენი,
ეგ შენი გული ჩუმად მკვნესარი
დამითმე, მომე, ვით განძი, ძღვენი.
ხომ არ დაგიწვეს დეკნას ქუჩებში,
ანდა ბალღივით სულელურ ხვეწნას,
მოდი, ჩაგკოცნო თაფლა ტუჩებში,
რომ ეს მკერდებიც ერთურთს ჩაეწნას.

მუსლო ნუ დამიჩლუნგდეგი

მუსლო ნუ დამიჩლუნგდები,
ნუ დაგიბრიყვებს სიბერე,
გულო ნუ დამიდუნდები,
სიცოცხლე ჯერ ვერ ვიჯერე.
მუზავ, ხშირ-ხშირად მეწვიე,
იქნებ დარდები ამეარო,
ერთხელ სიხარულს მეც მწიე,
მაჩვენე რითმის სამეარო.
მამულის მზეო და მთვარე,
ღრუბლით ნუ მოიბურები,
ღმერთო ქართველი ახარე,
ჯანდაბას ხიზან-მდგმურები.

ლექსში ვარ ჩამოლვენთილი

მტერს რომ სურს ისე არა ვარ,
მე რომ შემფერის არც ისე,
გაიგოს მტერმა-მოყვარემ,
აუღებელი ვარ ციხე.
არავის ვემორჩილები,
არცა ვის მივეყიდები,
მამულის სენი მაკვნესებს,
ხან ვხარობ მისი დიდებით.
გული აგვედთან მებრძოლი,
ლექსებმა გამიხალისა,
უფლის მადლმა და მცნებებმა,
რწმენა მომგვარა ხვალისა.
მივვევები წუთისოფლის გზას,
კაცი გვარ-ჯიშით კეთილი,
ლექსი მაცოცხლებს, ლექსი მკლავს,
ლექსში ვარ ჩამოლვენთილი.

წავალ

წავალ და დავიკარგები,
გულს უნდა მოვხსნა ხუნდები,
შენ რომ ამავსე დარდებით,
არასდროს დაგიბრუნდები.
წავალ, აღარ მაქვს სხვა გზა მე,
შენთან დავკარგე საერთო,
მსტოვრად ლექსები გავგზავნე,
წავალ, იქნება გავერთო. წავალ რომ
გული ბებერი,
გავახალისო სხვა რამით,
წავალ, რომ აღარ შემფერის,
დავიწვათ ტრფობის ვარამით.
წავალ, ასე გსურს რაკი შენ,
გული არა გაქვს საჩემო,
წავალ, თუმც ლექსებს დაგიშენ,
სულის გვემა რომ გაჩვენო.

***

გული დავღალე ფუჭი ფიქრებით,
დავახამარე მე იმედები,
მაგრამ ამქვეყნად სანამ ვიქნები,
მხოლოდ შენ ერთი მეიმედები,
შენ ერთს გაღმერთებ,
შენ ერთს გიგალობ,
ჩემი სიცოცხლის მზევ და ნაწილო,
შენ უნდა სული ამიგრიალო
და გული უნდა გამიუმაწვილო.

ჯუმბერ უთრუთაშვილი

15 წლის დედოფლისწყაროელი კომაშია

დედოფლისწყაროს სოფელ ხორნაბუჯში მცხოვრები არასრულწლოვანი გოგონა ერთი თვეა, კომაშია. გოგონა ქალაქ დედოფლისწყაროში ველოსიპედიდან გადმოვარდა, დაეცა და თავის ტრავმა მიიღო. უბედური შემთხვევა 30 მაისს ღამით მოხდა, რა დროსაც მოზარდი მეგობართან ერთად სეირნობდა.

როგორც დაშავებულის ოჯახის წევრებიგაზეთ „შირაქთან" საუბარში აცხადებენ, 15 წლის გოგონა ამ დრომდე თბილისის რეფერალურ საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში იმყოფება. სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის მეათე კლასის მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობა კვლავ მძიმეა და ხელოვნური სუნთქვის აპარატზეა მიერთებული.

მისი ახლობლები იხსენებენ, რომ დაცემიდან რამდენიმე საათში არასრულწლოვან გოგონას ცნობიერება ჰქონდა და გონება გვიან ღამით დაკარგა. სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურმა თავდაპირველად ის დედოფლისწყაროს საავადმყოფოში მოათავსა, შემდეგ კი მდგომარეობის გართულების გამო კატასტროფის ცენტრის ეკიპაჟის გამოძახებისა და გოგონას თბილისში გადაყვანის აუცილებლობა დადგა. კატასტროფის ცენტრი ოჯახის დაჟინებული მოთხოვნით გამოიძახეს.

დაშავებულის და განმარტავს, რომ პაციენტს საავადმყოფოში სამედიცინო მომსახურების საბიუჯეტო დაფინანსება ამ კვირაში ამოეწურება და, შესაძლოა, ოჯახს ფინანსური დახმარებაც დასჭირდეს.

„გევედრებით მოიხსენიეთ ანა ლოცვებში რომ დაგვიბრუნდეს, ის მხოლოდ 15 წლის არის, ველოსიპედიდან გადმოვარდა და ტვინის ყველაზე მძიმე მდგომარეობა აქვს, " - აღნიშნავს მოზარდის ოჯახი.

გავერთიანდეთ - დავეხმაროთ!

GE57BG0000000100699170
საქართველოს ბანკი

GE66TB7003645061100097
თიბისი ბანკი
მიმღები: ირმა ბენაშვილი

საკონტაქტო ტელეფონის ნომერი დის - **555954674** - (აქსანა)

ტრაგედია ტიბაანში

სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ტიბაანთან მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად სამ წლამდე აბავშვი დაიღუპა. ავტოავარია 24 ივნისს მოხდა.

როგორც მერის წარმომადგენლმა, ლია მაძღარაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, ავტომობილი, რომელშიც დედა-შვილი იჯდა, სოფლის ბოლოში ელექტროგანათების ბოძს შეეჯახა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

ულოცავენ!

ვანო ნატროშვილს!

ბატონო ვანო, გილოცავთ დაბადების დღეს. ჩვენი ორგანიზაციის თავკაცს დიდი წვლილი გაქვთ იმ მიზნებისა და დანიშნულების განხორციელებაში, რასაც ჩვენი საქმიანობა ითვალისწინებს. თქვენ არა მხოლოდ საუკეთესო ექიმი ბრძანდებით, არამედ ორგანიზაციული ნიჭით დაჯილდოებული ადამიანიც. იყავით ჯანმრთელი და ბედნიერი თქვენს ოჯახთან ერთად. კვლავაც წარმატებული იყოს თქვენი ცხოვრება და საქმიანობა.

პატივისცემით,
ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელობის დედოფლისწყაროს მწიგნობართა ასოციაციის გამგეობა და წევრები.

მონატრება

სოსო ჯალიაშვილი

ყველაზე ძვირფასი, რაც გამაჩნია ცხოვრებაში, ჩემი შვილებია, ჩემი ცხოვრების მიზნები, ჩემი არსებობის მიზეზები, მაგრამ ვაი, ამ არსებობას დე. უკვე, მეორედ მოვიდა უშენოდ 26 ივნისი, დღე, რომელიც მაბედნიერებდა, სიცოცხლის ხალის მმატებდა. შენი ყურება დედი, ყველაფერს მავიწყებდა. მხოლოდ , 24 წელი ვიყავით ერთად, მხოლოდ, 24 წელი მილამაზებდი ცხოვრებას, ჩემო უსაშველო ტკივილო, გილოცავ ოქროს დაბადების დღეს, იქ, ვიცი რომ ანგელოზებთან ერთად იზეიმებ ამ დღეს, ვიცი, რომ სადაც უნდა იყო, უნდა ვიამაყო შენით, შენ ხარ ვაჟკაცი, რომლის სახელიც მუდამ იგუგუნებს, შენ ხარ განსაკუთრებული მეგობარი, ჩემი სიცოცხლე და ჩემი ფესვი, რომელიც, უკვალოდ გამიფრინდი ზეცაში, დედი!

დედა - თეა სიფრაშვილი

იყიდება ბინა!

გურამიშვილის გამზირზე, სანზონის დასაწყისში იყიდება ერთ ოთახიანი სუფთა ბინა 9/8. ფასი შეთანხმებით. მსურველები დაგვიკავშირდით: ☎ 599855832

მაყვალა მილაძე

ჩვენგან ნაადრევად წავიდა თბილი, გაწონასწორებული, კარგი პროფესიონალი, წიგნზე საოცრად შეყვარებული, საუკეთესო დედა და მეუღლე.

მაყვალა მილაძე დედოფლისწყაროს საბიბლიოთეკო სისტემაში 1985 წლიდან მუშაობდა და ნაყოფიერი კვალი დატოვა. მრავალი ათეული წელი შეალია სოფელ სამრეკლოში წიგნადი ფონდის დაცვას და მკითხველის ინტერესებს. სამრეკლოში დღესაც მრავალ თაობას ახსოვს ქალბატონი მაყვალას პროფესიონალიზმი, მისი ხასიათი და თბილი დამოკიდებულება. მან მოღვაწეობა სოფელ ზემო ქედის ბიბლიოთეკიდან, სპეციალისტის რანგში დაიწყო. ათეულობით წლების მანძილზე მუდმივად ამართლებდა თავის განათლების ცენზს და იყო არაერთი საინტერესო ღონისძიების ავტორი და სულისჩამდგმელი.

რთულია, ჩვენს კოკლეგაზე წარსულში საუბარი, მაგრამ ეს სამწუხარო რეალობაა. ყოველთვის გვემახსოვრები!

დედოფლისწყაროს საბიბლიოთეკო გაერთიანება, კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრი.

მონატრება

სპარტაკ ლაპიაშვილი

ერთი წელი გავიდა, ერთი წელი, რომელმაც არავითარი შეღავათი არ მისცა ჩვენს გულს, არ გაანელა შენი დაკარგვით გამოწვეული ტკივილი, მონატრებამ უფრო იმძლავრა, თბილი და ტკბილი მოგონებები, რომელიც შენთან თანაცხოვრების ხანგრძლივ პერიოდში არაერთი გვქონდა, ჩვენს სულს ისევ ჰკვებავს და უფრო ამძაფრებს შენი ნახვის სურვილს. გვენატრება შენი დინჯი, აზრიანი საუბრები და რჩევები. ოჯახის ღირსეული თავკაცი იყავ, ამაყად დადიოდა, რადგან კარგი შვილები და შვილიშვილები გაზარდე, ბევრ სიხარულს მოესწარ, მაგრამ ბევრიც დაგაკლდა- ვერ მოესწარ შვილიშვილის დაბადებას, შენი საფიცარი გიორგი გოგონას მამა გახდა, 79 წელი იცოცხლე, ეს აც ბევრია, მაგრამ არც ცოტაა 80 წელი უშენოდ აგიღნიშნეთ. იმისათვის, რომ შენი განვლილი გზა შეაფასო. ალალი შრომით და კარგი ადამიანობით საზოგადოების პატივიცემა დაიმსახურე. მძიმე ავადმყოფობით გატანჯულმა, სარეცელს მიჯაჭულმა შენმა სხეულმა ამქვეყნიდან გასვლით შვება იგრძნო, მაგრამ ჩვენ მაინც უკმარისობა გრძნობა დაგვიტოვა, რომელსაც მალამო დღემდე ვერ მოვუნახეთ. დღესაც ისევ ისე გვიყვარხარ და გვენატრები, ჩვენო „პატი". შენი სულისთვის ვლოცულობთ და უფალს ვევედრებით, დაგიმკვიდროს სასუფეველი. ნათელში იყავ, ჩვენო ამაგიანო, ერთგულო და მზრუნველო ადამიანო.

შენი მეუღლე მანანა გოგაშვილი,
შვილები: სოფო და მაკა ლაპიაშვილები ოჯახებით.

დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ პედაგოგ ჟენია ხუციშვილს მამის

შამილის

გარდაცვალების გამო.

მამის ერთი დღე

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში დედის ინსტიტუტის კულტია, რამდენიმე წელია, მამების დღის აღნიშვნა საქართველოშიც დაიწყეს. ამაზე კანონმდებლობამაც „იზრუნა“ და დეკრეტული შვებულებით ისევე შეიძლება ისარგებლოს მამამ, როგორც დედამ. გთავაზობთ საფრანგეთში მცხოვრები ქართველი პოეტის, მთარგმნელისა და წერილს, რომელიც „მამის დღეზე“ და ზოგადად, მამის როლზე, საუკეთესოდ საუბროს.

„მამის დღე“ კარგა ხანია გავიდა, მაგრამ ჩემი, როგოც მამის, ყოველდღიურობაზე დაწერას ახლაღა ვახერხებ. აბა, როგორ მოვიცლიდი, როცა „მამობას“ რიჟრაჟზე ვიწყებ და ღამით ვამთავრებ?! ახლაც, როცა ამ სტრიქონს ვწერ, გამოიცანით და, შუაღამე იწვის, დნება.

ახლახან საცხოვრებელი ადგილი შევიცვალეთ. შედეგად, ახალ სამსახურს ვეძებ. მხოლოდ ელიზი მუშაობს. თანაც ადგილობრივი ბაღები სექტემბრამდე არ იღებენ და ძიძის აყვანას ვამჯობინეთ, მე მიმეხედა ბავშვებისთვის.

დილას შვიდზე ვიწყებ. ბარტყები რვის ნახევრისკენ იღვიძებენ, მაგრამ მირჩევნია, წყნარად შევუდგე საქმეს. ვამზადებ ორ „ბიბრონს“ (ბავშვის ბოთლს), თითოეულს 240 მლ-ს: 3 წლის ტატოსთვის - ჩვეულებრივი რძისას, 1 წლის ლილისთვის კი - „გალიას“ ან „ნოვალაკის“ ფხვნილისას. ვუმატებ ორ-ორ კოვზ „ბლედინას“ მარცვლეულს, ვანილის არომატით.

ამასობაში, ლილის ოთახიდან ჟღურტული მესმის. შევდივარ. დიდი სიხარულით მეგებება. „დედამამაგოგო...“, ყველაფერს ერთად ამბობს და უკვე წამომჯდარი, თათებს მიწვდის და თან თავის ნარინჯისფერ პლუშის „მელას“ ხელს არ უშვებს. ვკოცნი. ვაწვენ გამოსაცვლელ მაგიდაზე, ვუცვლი საფენს და ფიზიო-ხსნარით ცხვირს ვუწმენდ. ამ პროცესში, მკერდზე ფეხებს მიბრაგუნებს, კრემიან ბოქვენზე ხელებს იტყაპუნებს და ირგვლივ საგნებს ეპოტინება, რომ ძირს დაყაროს... ხელში ამყავს. როგორ უყვარს გაზმორება! ვეხმარები. ხელებზე რკალად მეკიდება, მკლავებს შლის, თვალებს ნაბავს და იღიმის. მერე გულში ვიკრავ... და არ არსებობს უფრო დიდი ნირვანა! მახსენდება, როგორ მეშინოდა ხელის ხლების პირველ დღეებში! ახლა ბლიცპარტიებში შევეჯიბრებოდი ნებისმიერ ძიძას.

ამ დროს, თავისი ოთახიდან გამოდის ტატო, ან ლოგინში მღერის და მე შევდივარ. ვესალმები და ვკოცნი. დარაბებს ვუღებ. საფენს თავისით იძრობს (ღამით ისევ უკეთია). ტანსაცმელს ვაცმევ. ვაწვდი მომზადებულ ბოთლს, რომელსაც მისაღების დივანზე მოკალათებული, ცლის და მულტფილმებს და ორცხობილას ითხოვს.

ვუბრუნდები ლილის. მისი ბოთლი კარგ ტემპერატურაზეა. ლილიც ბოლომდე ცლის, თითქმის შეუსვენებლად. რამდენიმე წუთით ვტოვებ ტრანზატში. თამაშობს ზედ დაკიდებული კარუსელით და შიგ ჩაწერილ მუსიკას უსმენს. ვრეცხავ ორივე ბოთლს. ლილისი რამდენიმე ნაწილისგან შედგება და ყოველ ჯერზე ვშლი და ვაწყობ. მახსოვს, როგორი შეღავათი იყო, როცა ტატო ბევრნაწილიანი ბოთლიდან მარტივსტრუქტურიანზე გადავიდა. ლილის ვსვამ ხალიჩაზე, სათამაშოებს შორის. უპრობლემოდ ერთობა. დროს ვპოულობ და სარეცხს ვყრი მანქანაში. სავსე ჭურჭლის სარეცხსაც ვრთავ.

ტატო მულტფილმებიდან გაფერადებაზე და ხატვაზე გადადის, ან ძერწავს, ან თავის „სახელოსნოში“ ჭანჭიკებს უჭერს, ან დაფაზე მაგნიტურ ასოებს აკრავს, ან ლეგოებით კოშკებს აგებს, ან „დამალობანას“ ვთამაშობთ, ან - „მანქანობანას“, ან - „მზარეულობანას“, ან კიდევ, საპნის ბუშტებს ვუშვებთ, ან... ჭადრაკს ითხოვს.

გასაოცარია და, ჭადრაკი განსაკუთრებით ართობს. ხშირად, როცა მგონია, რომ ყველაფერს მოვრჩით, ვითამაშეთ, ვივახშმეთ, დავიბანეთ, ზღაპრები ვიკითხეთ, ვიმღერეთ... მოკლედ, ყველაფერი აჟურშია... მესმის ტატოს გაბმული: „პაიკიიი, პაიკიიი!..“ (იგულისხმება „ჭადრაკი“), ან: „კავლიეეე, კავლიეეე!...“ (თუ ფრანგულად ეძახის. უნდა, თქვას: „კავალიე“) და ვხედავ ჩემს მაგიდაზე შემოდებული ჭადრაკისკენ მის გაწვდილ თითებს. აქ სხვა გზა არ მრჩება. ამაზე უარის თქმას ჯობია, შოკოლადის იოგურტზე ვუთხრა უარი! შედეგად, პროგრესიც ნელ-ნელა მოდის. თამაშის ბოლოს, ფიგურები იატაკზე აღარ ამთავრებენ სიცოცხლეს, დაფაზე მყარად რჩებიან, ოღონდ, უნდა ითქვას - გადაადგილების უსაზღვრო თავისუფლებით აღჭურვილნი!.. და გადავდივართ სამგანზომილებიან თამაშში, სადაც, როგორც მაქს ერნსტი იტყოდა, „ფიგურები მეტაფიზიკური ცეკვით ეხლებიან ერთმანეთს“. თუმცა პარტია პარტიაა! და როცა „ვაგებ“, ტატო კარადისკენ გახარებული გარბის და ჩემი თასი გამოაქვს მოგების აღსანიშნავად. მეც ხელებში ვიტაცებ, თავისი თასიანად ჭერისკენ „ვისვრი“ და ერთხმად ვყვირით: „ტატომ მოიგოოოო!“

მალე ეზო და ტერასა მზით ივსება. პარასოლს ვშლი და ვრჩდილავ სილით და სათამაშოებით სავსე ტაშტს, რომელშიც მალე ტატო ჩაჯდება და ლილიც ჩაუგორდება.

თუ ტატომ ეზოში ბურთით სირბილი გადაწყვიტა, ლილიც მინდვრისკენ მიხოხავს. ტატოს ვეუბნები, ეთამაშოს თავის პატარა დას. ტატოც ბურთს უგორებს. ლილიც იღებს და უკან უბრუნებს, სიცილით და ტაშის კვრით. ტატო გიჟდება, როცა ლილის უხარია! რას არ იგონებს, რომ გააცინოს. თავდაყირა დგება, ათას მოძრაობას აკეთებს, ან ითვლის: “ერთი, ორი, სამი... გადმოხტაააა”, და ხტება. ლილიც იცინის.

დროდადრო, თოჯინების სპექტაკლს ვაწყობთ. ტატო და ლილი ძირითადად მაყურებლები არიან. მე ბებოს მიერ მოქარგული “პარავანის” უკან ვარ ჩაცუცქული, პლუშების არმია მაქვს მომარაგებული და “ფარდის” წინ, სილის ტაშტებში მოკალათებულ ლილის და ტატოს იმ ზღაპრებს ვუთამაშებ, რომლებიც მათთვის ძილის წინ მომიყოლია. სპექტაკლებს დიდი წარმატება აქვს მაყურებელში! ცხადია, ლილი აქაც ტაშს უკრავს.

10 საათისთვის, ლილის ცოტა წაძინება სჭირდება, სადილამდე. საფენს და “ბოდის” ვუცვლი, ხელ-პირს ვუწმენდ. თუ ტაკო აქვს აღაჟღაჟებული, კიჭის ამოსვლის გამო, “მიტოზილს” ან “სიკალფატს” ვუსვამ. თავის “ქოლგა-ლოგინში” ვაწვენ და თავის ნარინჯისფერ “მელას” ვაწვდი, რომლის გარეშე შანსი არაა, დაიძინოს (“მელას” ყურები მუდმივად სველი აქვს, ლილის ნაღეჭი. მისი გარეცხვა კი რთული საქმეა, რადგან თითქმის არასდროს იცილებს ლილი ხელიდან, სულ მცირე — თვალიდან)! ვუმღერი, დარაბებს ვუხურავ, “ძილი ნებისას” ვეუბნები და ოთახიდან გავდივარ.

ტატო ამჯერად ხილის წვენს და შოკოლადს მიირთმევს და თამაშს აგრძელებს. თუ ინტერესით თამაშობს, ტექსტებზე მუშაობის დროც მრჩება! ხოლო თუ ჩემს კომპში ქართული მულტფილმების ნახვას ითხოვს, სხვა გზა არ არის, მუშაობას ვწყვეტ.

თუმცა სარეცხი უკვე გარეცხილია და ეზოში გამაქვს გასაფენად. ჭურჭლის ამოლაგებასაც ვასწრებ.

მალევე სადილს ვამზადებ. ტატო ხელებს თავისით იბანს, ტუალეტშიც თავისით მიდის, უნიტაზზე თავის რედუქტორ ნიჟარას დებს, ქვევით თავის საფეხურს იდგამს და ადის. საფენიდან თითქმის პირდაპირ ტუალეტზე გადავიდა. ქოთანი სულ რამდენიმეჯერ გამოიყენა. ასე გაცილებით მოსახერხებელია, ქოთანი აღარ მაქვს საწმენდი. ფისი კი ეზოში ურჩევნია, მაგრამ ვინაიდან მე ვუშლი (არ მგონია, კარგი იყოს ბალახისთვის), იძულებულია, ესეც ტუალეტში ქნას. ზოგჯერ, გამონაკლისის სახით, ნებას ვრთავ, ეზოს ბოლოში მოფსას, ბუჩქებზე.

12 საათისკენ ლილიც იღვიძებს. ფისით სავსე საფენს ვაცლი და თავის მაღალ, ღვედებიან სკამზე ვსვამ. სამივენი ერთად ვსადილობთ, მთლად სინქრონულად ვერა, რადგან არათუ ლილი თავისით ვერ შეჭამს, ზოგჯერ ტატოსაც კი სჭირდება ჩემგან დახმარება. ლილის ვუცხელებ კერძს, რომელიც ან ინდუსტრიული ქილაა, ან დედას მომზადებული გემრიელობა, რომელსაც წარმატებით მიირთმევს, თუმცა აქა-იქ — ექსცესებით. არაერთხელ გავუწუწნივარ პიურე/ჯემ/სუპის შეხეფებით. პრობლემას მეტნაკლებად ვაგვარებ მუსიკის ჩართვით და მისთვის სათამაშოების მიწოდებით. შემდეგ ვასმევ D ვიტამინის რამდენიმე წვეთს, ვაწვდი წყალს და ვურჩევ დესერტს. ამასობაში, ტატო თავისით ჭამს, განსაკუთრებით, თუ მაკარონი გავუკეთე ყველით და ლორით. დახმარება ძირითადად ზოგიერთი ბოსტნეულის ჭამაში სჭირდება.

ლილის ვხსნი “მაღალი სკამიდან”. ცოტა ხნით მკლავებში მყავს და ეზოში ვასეირნებ - სადილისშემდგომი “პრომენადი” აქვს. ტატო დესერტზე გადადის. მეც ვახერხებ ჭამას.

სადილის შემდეგ, გარეთ მზე აჭერს. ვთამაშობთ შიგნით.

გიტარას ვიღებ და კონცერტს ვატარებთ. ვმღერით საბავშვოს, სადიდოს, ქართულს, ფრანგულს... ტატო შეუწყვეტლივ ცეკვავს. ლილი აქაც უკრავს თავის ტრადიციულ ტაშს. ცდილობს, გიტარას მიუახლოვდეს და სიმებს თათი ჩამოჰკრას. კონცერტის დასასრულს, პუბლიკას მადლობას ვუხდი და დროებით ვემშვიდობები.

შემდეგ თავისით ერთობიან. სახლი სათამაშოებითაა მოფენილი.

ისევ ვიცლი ტექსტებისთვის - ცოტა ხნით და ბავშვების ჟრიამულის ფონზე (ეს ჟრიამული ზოგჯერ ოდნავ არაპროპორციულ წივილ-კივილში გადადის, რაც ჩემი გამოცდილებით, ბოდის ღილების შეკვრასა და მიმოფანტული სათამაშოების მოგროვებასთან ერთად, ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა ძიძის ხელოვნებაში!). თანაც ლილი პერიოდულად მოხოხავს ჩემი კომპისკენ ძახილით “აააარررაა” და ჩართვა/გამორთვის ღილაკს აჭერს თითს. ცხადია, მობილიზებული ვარ და ტექსტის შენახვას ვასწრებ, მაგრამ ვერაფრით ვუშლი ამის ჩადენას. “აააარ�აა” კი იმის გამეორებაა, რაც ჩემგან ესმის ხოლმე ამ დროს.

მოდის სამხრის დროც. ისევ — ორი ბოთლი, ოღონდ ლილის -180 მლ, ტატოს - 210 მლ. შემდეგ, ორივეს -ხილის ჯემი. ტატოს, დამატებით - ნაყინი, თუ ძალიან “ცხელი მზეა”.

ცხელი მზეც ნელ-ნელა გრილდება და ჩემს ველოში შებმული საბავშვო ეტლი გამომყავს გარაჟიდან. ლილის ეტლში ვსვამ, ტატოს - ველოზე დამაგრებულ სკამზე. ორივეს ღვედს ვუკრავ და უსაფრთხოების ჩაფხუტს ვახურავ, ეტლისწინა ბადეს ელვაშესაკრავით ვკეტავ და ვიძრებით რაფსისა და ხორბლის მინდვრებში სასეირნოდ.

სეირნობიდან დაბრუნებისას, ვავსებ ლილის აბაზანას, შიგ ვუწყობ სათამაშოებს და ვბან. ადრე ჩემს ერთ ხელზე იყო წამოწოლილი და მეორეთი ვბანდი. ახლა ზის და თამაშობს ბანაობისას. ხშირად მწუწავს, წყალზე ხელების დგაფუნით. მერე ტატოს ჯერია. აბაზანას მასაც ვუმზადებ, მაგრამ დამოუკიდებლად იბანს. კარგად ერთობა. მუდმივად ვეხვეწები, წყლიდან ამოვიდეს.

ელიზიც ბრუნდება სამსახურიდან და ბავშვები ისევ ჟრიამულს ტეხენ!

ყველანი ერთად ვვახშმობთ.

მერე პატარებიც იძინებენ... და მთავრდება მამის ერთი დღეც.

მთავრდება ერთი და იმავე ჟესტებისა და პროცედურების ეს არარომანტიკული დოკუმენტური ქრონოლოგიაც, რომლის მიღმა ბედნიერების უშრეტი წყაროა - ის, რაც ამ რუტინულ ყოველდღიურობასა და ყოფით გამეორებებს ხდის შესაძლებელს! ეს უთუოდ ბავშვებთან ურთიერთობის ყოველი წამის განუმეორებლობაა, რაც არათუ ვერ აღიწერ-აღირიცხება, განცდის მომენტში არსებობს მხოლოდ და უმალ ხელიდან მისხლტება... ეს არის პატარების ყოველი მიკროპროგრესის თუ ცვლილება/სიახლის შემჩნევის შესაძლებლობა, იმ ნიუანსების შემჩნევისა, ბავშვებთან მთელი დროით ჩართულობა რომ ხდის შესაძლებელს.

და რა თქმა უნდა, ეს არის მათი ყოველი სიხარულის გაზიარების ბედნიერება! არაფერია გულით აკისკისებულ ბავშვზე საოცარი!

ბაჩანა ჩაბრაძე

ამინდი დედოფლისწყარო

ორშაბათი 29.06		სამშაბათი 30.06		ოთხშაბათი 01.07		ხუთშაბათი 02.07		პარასკევი 03.07		შაბათი 04.07		კვირა 05.07	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
27°	20°	29°	24 °	28 °	23 °	26 °	20 °	26 °	20°	27 °	22 °	29 °	23°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია
დედოფლისწყაროს რაიონის
სასამართლოს მიერ,
№6014-468.